პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 33-ე წელი

№ 138 (9298) ხუთშაბათი 12 ივნისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობა — ახალი ამოცანების დონეზე! — მოწინავე (1-ლი გვერდი).
მეცნიერ მუშაკებისა და მეშახტეთა თანამეგობრობა (1-ლი გვერდი).
ერთი კოლმეურნეობის აგიტატორები (მე-2 გვერდი).
საბჭოთა წყობილების მძლავრი ძალა — „პრავდის“ 11-VI მოწინავე (მე-2 გვერდი).
გავაძლიეროთ მუშაობა კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის (მე-2 გვერდი).
უდარდელობისა და დამნაშავეთა შემწყნარებლობის შედეგი (მე-3 გვერდი).
ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიისათვის (მე-3 გვერდი).
ბონის სეპარატული ხელშეკრულების წინააღმდეგ (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო თემაზე — „მშვენიერი საფრანგეთი თავისუფალი იქნება“ (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობა — ახალი ამოცანების დონეზე!

ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად დიდი სტალინის ყოველდღიური მზრუნველობით ფიზიკური კულტურა და სპორტი — მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ეს ერთ-ერთი მთავარი საშუალება — ჩვენს ქვეყანაში არაჩვეულებრივი ტემპით განვითარდა და აყვავდა. ფიზკულტურული მოძრაობა ნამდვილ მასობრივ და საყოველთაო მოძრაობად გადაიქცა.

ამ დარგში ზოგიერთი წარმატებებია მოპოვებული საქართველოში. ჩვენ გვყავს ფეხბურთელთა და კალათბურთელთა მაღალი კლასის გუნდები, შესანიშნავი მძლეოსნები, ტანმოვარჯიშენი, რომლებსაც არაერთხელ სახელოვნად დაუცავთ ჩვენი რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სპორტული ღირსება. მაგრამ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში მიღწეულმა ერთგვარმა წარმატებებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკების თვითდამშვიდება და უდარდელობა გამოიწვია. კასპის, აბაშის, ახმეტის, ზესტაფონის, ტყიბულის, კასპის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონებში ფიზკულტურული ძირეული კოლექტივები მოუქნელად მუშაობენ, გუნდებისა და სექციების მეცადინეობა ტარდება შემთხვევიდან შემთხვევამდე. სპორტსმენთა შორის სუსტად არის დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ამ მხრივ მთელი რიგი ნაკლოვანებები და დამახინჯებებია დედაქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში. თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადების საქმეში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ ორჯონიკიძის, ბერიას და სხვა რაიონების ფიზკულტურული კოლექტივები. მართალია, სპორტის ამა თუ იმ სახეში თბილისს ჰყავს ჩემპიონები, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა სპორტის მასობრიობას. მეტალურგთა ქალაქ რუსთავში სუსტად მუშაობენ აქტივთან, ისედაც მცირე კოლექტივებში ნაკლები რაოდენობით არიან ჩაბმული ქალები.

ხშირად ვხვდებით ფიზკულტურული ორგანიზაციების ისეთ ხელმძღვანელებსაც, რომლებიც მხოლოდ სტატისტიკური ცნობებითა და მშრალი მოხსენებებით არიან დაინტერესებული. ისინი იშვიათად მიდიან ადგილებზე, არ იცნობენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას, ბოლშევიკურ დახმარებას არ უწევენ ძირეული კოლექტივების ხელმძღვანელებს. მოუქნელად მუშაობს სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭო. სასპორტო საზოგადოება „მედიკის“ აჭარის, სამხრეთ-ოსეთისა და სხვა საოლქო საბჭოების მუშაკები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების ხარისხს, გატაცებული არიან გეგმების რაოდენობრივი შესრულებით. ზოგიერთ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში არადამაკმაყოფილებელია ფიზკულტურული მუშაობის ხარისხი, აკლიათ ფიზკულტურისა და სპორტის კვალიფიციური მასწავლებლები, არა აქვთ სასპორტო ნაგებობანი, სასპორტო მოედნები.

ჩვენში ჯერჯერობით სათანადო ყურადღებით არ სარგებლობს სპორტის ისეთი სახეობები, როგორიც არის მძლეოსნობა, ცურვა, მოტოსპორტი, ალპინიზმი, ტანვარჯიში, ველოსპორტი, ჭადრაკი და სხვ.

ეს ნაკლოვანებანი იმით უნდა აიხსნას, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი ცუდად ხელმძღვანელობს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. მოუქნელად მუშაობენ მთელ რიგ სასპორტო საზოგადოებათა რესპუბლიკური ორგანოები, დროზე არ აამჟღავნებენ ნაკლოვანებებს და დამახინჯებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფიზკულტურისა და სპორტის ორგანოებში კრიტიკასა და თვითკრიტიკას პატივს არა სცემდნენ. ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ავიწყდებათ, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა, მისი წინსვლისა და განვითარების კანონია.

ნაკლოვანებანი ძირითადად იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყურადღებას არ აქცევენ ფიზკულტურული კოლექტივების, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებათა საბჭოების საქმიანობას და ეს დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმე თვითდინებაზეა მინდობილი. ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობაში ფიზკულტურული მუშაობა მთლიანად ჩაშლილია, სექციები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები კი ყოველივე ამას გულდამშვიდებით შესცქერიან. ასეთი ფაქტები ერთეული როდია.

საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ი. მგელაძემ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საბრძოლო ამოცანები დაგვისახა.

საჭიროა ბოლშევიკურად მოვაწყოთ ბრძოლა ამ ამოცანების შესრულებისათვის. უნდა გავაფართოოთ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ქსელი. ამასთან ერთად გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს სასპორტო ბაზებისა და ფიზკულტურული დარბაზების მშენებლობის საქმე. ყოველ კოლმეურნეობაში, ყოველ საბჭოთა მეურნეობაში, ყოველ საწარმოში უნდა იყოს საკუთარი სასპორტო მოედანი. ძირფესვიანად უნდა გარდაიქმნას სწავლების საქმე ფიზკულტურის ინსტიტუტსა და ტექნიკუმში, საშუალო სკოლებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფიზკულტურის მასწავლებელთა შერჩევა-განაწილებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ფიზკულტურულ კოლექტივებში ქალთა ჩაბმის საქმეს, ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადებას, პროპაგანდას, სისტემატურად მოვაწყოთ ლექციები, მოხსენებები, საუბრები, მოწინავე სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები.

ფიზიკურად ჯანსაღი და სულიერად მტკიცე ახალგაზრდობის აღზრდა კომკავშირის ღვიძლი საქმეა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფიზკულტურა და სპორტი ნამდვილად მასობრივი, ხალხური გახდეს.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა უახლოეს ხანში უნდა მიაღწიონ იმას, რომ თვითეულ საწარმო-დაწესებულებაში, სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში გვყავდეს უნარიანი ფიზკულტურული კოლექტივი, რომელიც შეძლებს სანიმუშოდ მოაწყოს მუშაობა, წარმატებით შეასრულოს მასზე დაკისრებული ამოცანა.

ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობა ავიყვანოთ ახალი ამოცანების დონეზე!

## თბილისის ოლქის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მატყლის დამზადების ნახევარი წლის გეგმა

თბილისის ოლქის კოლმეურნეობებმა 5 ივნისისათვის 104,8 პროცენტით შეასრულეს მატყლის დამზადების ნახევარი წლის გეგმა.

მატყლის დამზადება გრძელდება.

## ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 1952 წლის 10 ივნისის ცნობებით)

| რაიონების დასახელება | გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურის | გეგმის შესრულება პროცენტობით: ივნისისა მაისის დავალების ჩათვლით |
|---|---|---|
| ბათუმის | 24,7 | 48,3 |
| ქობულეთის | 23,8 | 45,8 |
| ქედის | 33,3 | 83,3 |
| **სულ აჭარის ასსრ-ში** | **24,0** | **46,4** |
| გალის | 22,8 | 21,4 |
| ოჩამჩირის | 26,5 | 28,0 |
| გულრიფშის | 30,1 | 20,0 |
| სუხუმის | 31,2 | 40,5 |
| გუდაუთის | 30,3 | 34,7 |
| **სულ აფხაზეთის ასსრ-ში** | **25,1** | **25,0** |
| მახარაძის | 23,3 | 31,1 |
| ჩოხატაურის | 27,5 | 29,9 |
| ლანჩხუთის | 24,4 | 30,2 |
| სამტრედიის | 19,8 | 16,0 |
| წულუკიძის | 19,2 | 15,3 |
| ქუთაისის | 24,9 | 26,6 |

| რაიონების დასახელება | გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურის | გეგმის შესრულება პროცენტობით: ივნისისა მაისის დავალების ჩათვლით |
|---|---|---|
| წყალტუბოს | 21,9 | 11,0 |
| ტყიბულის | 18,8 | 25,7 |
| ცხაკაიას | 18,7 | 14,9 |
| აბაშის | 14,5 | 11,2 |
| გეგეჭკორის | 22,6 | 21,2 |
| ზუგდიდის | 20,0 | 22,7 |
| წალენჯიხის | 20,4 | 22,8 |
| ჩხოროწყუს | 23,2 | 19,1 |
| ხობის | 20,6 | 17,7 |
| თერჯოლის | 23,7 | 8,2 |
| ზესტაფონის | 30,3 | 15,4 |
| **სულ ქუთაისის ოლქში** | **22,2** | **25,1** |
| **სულ საქართველოს სსრ** | **23,0** | **28,1** |

მახარაძისა და გალის რაიონების ცნობები არასრულია.

# ჩვენს რესპუბლიკაში

## ლენინელებული საწარმოს წარმატებანი

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). შუშის ქარხნის კოლექტივი, რომელიც სისტემატურად ჩამორჩებოდა, მიმდინარე წელს გამართულად მუშაობს. მთავარ საამქროში დაიდგა რამდენიმე ნახევრადავტომატური დაზგა, რომლებმაც ერთნახევარჯერ გაადიდეს შრომის ნაყოფიერება. ამასთან მეტი ყურადღება მიექცა პროგრესულისა და ახლისათვის ბრძოლას. კომუნისტ გ. შარაშენიძის წინადადებით ქარხნის თხუთმეტივე ბრიგადისათვის ცალცალკე მოეწყო ღუმელიდან ამოღებული პროდუქციის მოსათავსებელი მაგიდები. იმის გამო, რომ წინათ იატაკზე ლაგდნენ ცხელ მზა ნაწარმს, ხშირი იყო მტვრევა. ამჟამად აღნიშნული რაციონალური ღონისძიების განხორციელების შედეგად შუშის მტვრევა 15-20 პროცენტით არის შემცირებული.

წარმოების შემდგომმა სრულყოფამ დიდად შეუწყო ხელი მუშათა შრომითი ენთუზიაზმის ზრდას. ბრიგადები, რომლებსაც ვ. სვანიძე, რ. გვენცაძე, ვ. ნოვიკოვი და სხვები ხელმძღვანელობენ, ახლა ყოველდღიურად 500-600 ცალით მეტ პროდუქციას ამზადებენ, ვიდრე წინათ.

ქარხნის კოლექტივმა ამ დღეებში მორიგი გამარჯვება მოიპოვა — საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა 108 პროცენტით შეასრულა.

## 200 ტონა კირი გეგმის გადამეტებით

**სურამი.** (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად იმუშავა სურამის კირის ქარხნის კოლექტივმა მაისში და თვიური გეგმის გადამეტებით 200 ტონა კირი გამოუშვა. ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებასთან ერთად ქარხანაში საგრძნობი რაოდენობით დაზოგეს სათბობი, 3 პროცენტით შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება და 2,4 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება.

საწარმოო გეგმების შესრულებაში მაღალ წარმატებებს აღწევენ კირის გამომწველები ი. ლომიძე და ა. რიკაძე, კირქვის კარიერის მნგრეველები ს. ჩაჩანიძე და გ. ხაჩიძე, მტვირთავები დ. ბლიაძე, პ. ლომიძე და სხვები.

## მეშახტეები კურორტებზე

**ტყიბული.** (საკ. კორ.). მრავალი ტყიბულელი მეშახტე მიდის დასასვენებლად ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე, წელს საგზურებზე მეშახტეები დიდ მოთხოვნილებას აყენებენ. ბევრმა მათგანმა უკვე ისარგებლა შვებულებით.

წარჩინებულმა მეშახტემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა შ. ფურცხვანიძემ, მოწინავე სტახანოველმა მნგრეველებმა პ. კუბლაშვილმა, ვლ. ემელიანენკომ და ვ. პატარიძემ დაისვენეს წყალტუბოს სანატორიუმში. ესენტუკიდან და ჟელეზნოვოდსკიდან დაბრუნდნენ ერთი თვის წინათ შვებულებაში წასული მეშახტეები.

საუკეთესო კურორტებზე დასასვენებლად მორიგ შვებულებაში წასასვლელი მეშახტეებისათვის საგზურები უკვე შეძენილია.

## რადიოკვანძი კოლმეურნეობაში

**ლანჩხუთი.** (საკ. კორ.). სტალინის სახელობის აცანის კოლმეურნეობაში შეუდგნენ რადიო სატრანსლაციო ქსელის მოწყობას 2.000 კოლმეურნის ოჯახისათვის რადიომომსახურების გასაწევად. რადიოკვანძი განკუთვნილია აცანის, ზემო აკეთის და ქვემო აკეთის კოლმეურნეობებისათვის.

აცანაში 150 კოლმეურნის ოჯახი უკვე უსმენს რადიოს.

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად

## ხაშურელ მეელმავლეთა ვალდებულებანი

**ხაშური.** (საკ. კორ.). საელმავლო დეპოს კოლექტივმა მაისში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ელექტრომავლების სადღეღამისო გარბენის დავალება და ტექნიკური სიჩქარე, გასწია ელექტროენერგიისა და თანხების ეკონომია. ხაშურელი მეელმავლეები გაცხოველებით ემზადებიან რკინიგზელის სტალინური დღისათვის. საელმავლო დეპოს კოლექტივმა იკისრა გაზარდოს ელმავლების ტექნიკური სიჩქარე საათში 1,3 კილომეტრით, ელმავლების სადღეღამისო გარბენის გეგმას გადააჭარბოს სამი კილომეტრით, შეამციროს ელექტროენერგიის ხარჯვა 2 პროცენტით, ხოლო საცხები მასალისა — 15 პროცენტით, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 2 პროცენტით და სამშობლოს მისცეს 250 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

მემანქანე გ. გოგოლაძემ იკისრა რკინიგზელის სტალინური დღისათვის გეგმის გადამეტებით გადაზიდოს 500 ტონა ტვირთი, გაზარდოს ტექნიკური სიჩქარე საათში 2 კილომეტრით და ელმავალი იყოლიოს ტექნიკურ მზადყოფნაში. უფროსმა მემანქანემ ნ. თუთისანმა ვალდებულება აიღო გეგმის გადამეტებით გადაზიდოს 600 ტონა ტვირთი, მატარებლის უწუნოდ და უავარიოდ ტარებასთან ერთად უზრუნველყოს საცხები მასალის დაზოგვა 60 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიისა — 10 პროცენტით.

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად გადიდებული საწარმოო ვალდებულებები აიღეს აგრეთვე წარჩინებულმა მემანქანეებმა შ. ბოლოკაძემ, გ. ხუჯაძემ, გ. ბუღაძემ, ა. მანჯავიძემ, ა. ფცქიალაძემ, ზეინკალმა კ. მეტრეველმა, შემდუღებელმა ა. ფირანაშვილმა, ხარატმა ნ. გიგუაშვილმა და სხვებმა.

გაჩაღებულია მუშაობა ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ განაღდებისათვის.

## შორაპნელ მტვირთავთა მიღწევები

შორაპნის დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორის კოლექტივი ერთსულოვნად მონაწილეობს რკინიგზელის სტალინური დღისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ენერგიული მუშაობით კანტორის კოლექტივმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა დატვირთვა-გადმოტვირთვის მაისის გეგმა და მრავალი ათასი ტონა ზეგეგმითი მარგანეცი გაუგზავნა მშობლიურ მეტალურგიას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეორე ცვლის (უფროსი კ. ფერაძე) მტვირთავთა მაღალნაყოფიერი მუშაობა. ამ ცვლამ მაისის გეგმა 142,4 პროცენტით შეასრულა და ცვლის გარდამავალი წითელი დროშა შეინარჩუნა.

ბრიგადებს შორის კვლავ პირველობას ინარჩუნებს ვ. კვინიკაძის ბრიგადა, რომელმაც თვიური დავალება 192 პროცენტით გაანაღდა. მოწინავეთა რიგებში არიან ვ. სირაძის, შ. ჩიტორელიძის, ს. ელაგინის, გ. ჩიტორელიძის, ვ. და ი. ეჯიბაძეების მტვირთავთა ბრიგადები, რომლებმაც გეგმის გადამეტებით დატვირთეს ათასობით ტონა მარგანეცი. საგეგმო დავალებებს საგრძნობლად გადააჭარბეს ამწეების მემანქანეებმა ა. ფუტკარაძემ და შ. სამხარაძემ. (ჩვენი კორ.).

## ქერის ახალი მოსავალი

**სიღნაღი.** (ტელეფონით). კოლმეურნეობებში დაიწყო ქერის მოსავლის აღება. მოსავალი კარგია. წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ მოსავალი პირველ დღეს 5 ჰექტარზე აიღო.

**წითელწყარო.** (ტელეფონით). გაჩაღდა ქერის მკა. სოფელ ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერ ქერს იღებენ.

მალე ქერის აღებას მასობრივად შეუდგებიან.

## ტაჯიკი მეციტრუსეები აჭარაში

**ბათუმი.** (საკ. კორ.). რამდენიმე დღის განმავლობაში აჭარაში სტუმრად იყვნენ ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის მეციტრუსე კოლმეურნეები, აგრონომები. მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეები იმისათვის ჩამოვიდნენ, რომ გასცნობოდნენ აჭარის მოწინავე მეციტრუსეთა გამოცდილებას.

ტაჯიკმა მეციტრუსეებმა დაათვალიერეს ბათუმის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის, ქობულეთის რაიონის კალინინისა და ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობები, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, მახინჯაურის და ციხისძირის საბჭოთა მეურნეობები. ისინი გაეცნენ ჩაის ფოთლის კრეფის წესებს. ბათუმის ბოტანიკური ბაღის ციტრუსოვანთა სელექციის განყოფილების გამგე ვ. შანიძე სტუმრებს ესაუბრა ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის სელექციის შესახებ.

## მეაბრეშუმეთა წარმატება

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). ქალაქ ქუთაისში მცხოვრები 1.300-ზე მეტი დიასახლისი მისდევს მეაბრეშუმეობას, იყენებს ქისტაურელთა გამოცდილებას და ყოველწლიურად აბრეშუმის პარკის უხვ მოსავალს აბარებს სახელმწიფოს.

დიასახლისმა თ. ლოსაბერიძემ წელს ვადამდე დაამთავრა აბრეშუმის ჭიის გამოკვება და 3,6 გრამ თესლზე სახელმწიფოს 27 კილოგრამი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ჩააბარა. თვალსაჩინოდ დაწინაურდა მეაბრეშუმე მარო ბუილიშვილიც. მან სამნახევარი გრამი მურის გამოკვება ათი დღით ადრე დაამთავრა და ნაცვლად 11,5-სა სახელმწიფოს 20 კილოგრამი პარკი ჩააბარა.

ქალაქის მეაბრეშუმე დიასახლისებმა პარკის მიმღებ პუნქტს 5 ტონამდე პარკი ჩააბარეს.

**ცხაკაია.** (საკ. კორ.). კოლმეურნე მეაბრეშუმეები სახელმწიფოს აბრეშუმის პარკის უხვ მოსავალს აბარებენ. ქალაქ ცხაკაიას სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ოლღა სანაიამ 10 გრამ აბრეშუმის თესლზე მიიღო 64 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი, გეგმა კი 24 კილოგრამის მიღებას ითვალისწინებდა. ასეთივე წარმატება მოიპოვეს ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა დუშა ტყებუჩავამ და ქსენია ჯანაშიამ. პირველმა 8 გრამ თესლზე მიიღო 61,8 კილოგრამი პარკი, მეორემ 12 გრამზე — 41 კილოგრამი.

პარკის უხვი მოსავალი მიიღო ოქტომბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ გალინა კილასონიამ და სხვებმა.

**წყალტუბო.** („კომუნისტის“ კორ.). დაიწყო აბრეშუმის პარკის დამზადება. პარკი პირველმა ჩააბარა სოფელ წყალტუბოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადამ (ბრიგადირი ალ. აფხაძე). მეაბრეშუმე ფედოსი აფხაძემ 21 დღეში დაამთავრა 10 გრამი ჭიის გამოკვება და ნაცვლად 24 კილოგრამისა 45,8 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი მიიღო. პუნქტს პარკი ჩააბარა აგრეთვე კოლმეურნე ნუნუ აფხაძემ, რომელმაც დავალება 150 პროცენტით შეასრულა.

წელს წყალტუბოს რაიონის მეაბრეშუმეები სახელმწიფოს მისცემენ 64 ტონაზე მეტ გაზაფხულის გამოკვების მაღალხარისხოვან აბრეშუმის პარკს.

## ვოლგის პირველი თბომავალი

**დონის კალაჩი** (სტალინგრადის ოლქი), 10 ივნისი (საკდესი). გუშინ საღამოს მე-13 რაბთან, რომელიც დონის შესავალთან მდებარეობს, მოვიდა თბომავალი „ბტ № 306“. თბომავლის კაპიტანია ა. პ. იგნატიევი.

კალაჩის ასობით მცხოვრები და რაბის მშენებლები გამოვიდნენ ნაპირზე, რათა მისალმებოდნენ ვოლგიდან მოსული პირველი თბომავლის ეკიპაჟს.

იძლევიან სიგნალს:

— გააღეთ დონის კარი!

კარი ნელა იღება. გემი შედის კამერაში. ეს უკანასკნელი რაბია. შემდეგ თბომავალი მიდის არხით დონისაკენ. სინათლე უნათებს მას გზას. არხის ნაპირებზე მრავალი ფარანია, რომლებიც ანათებს ტრამალის ბნელ ღამეს.

23 საათს მოსკოვის დროით კალაჩის ნავსადგურში მოვიდა პირველი თბომავალი ვოლგიდან.

## ვოლგის ტურბინების დეტალები

**კრამატორსკი,** 10 ივნისი. (საკდესი). სტალინის სახელობის ნოვო-კრამატორსკის ქარხნის ინჟინრები ამუშავებენ კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის ჰიდროტურბინების დეტალების წარმოების ტექნოლოგიას. ქარხანამ უნდა დაამზადოს რამდენიმე ათასი ტონა გიგანტური ჩამონასხამი და ნაჭედი. ცალკეული ასეთი ჩამონასხამისა და ნაჭედისათვის საჭირო იქნება სულ ცოტა 350-400 ტონა ფოლადი.

საპატიო დაკვეთის შესრულებისას გამოყენებული იქნება წარმოების ყველაზე სრულყოფილი მეთოდები. მაგალითად, უკვე მომზადებულია ტურბინების სტატორების დამზადების ტექნოლოგია. ციმლიანსკის ჰიდროელექტროსადგურის სტატორების მსგავსად ისინი ნაწილ-ნაწილ იქნება აწყობილი.

ქარხანაში მოეწყო მსხმელების, ტექნოლოგების, ელექტროშემდუღებლების თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სტალინის სახელობის ლენინგრადის ლითონის ქარხნის წარმომადგენლებმა. ამ ქარხანაში შეიქმნა ვოლგის ჰიდროტურბინების პროექტი.

## ჩარხმშენებელთა საკავშირო თათბირი

10 ივნისს მოსკოვში გაიხსნა ჩარხმშენებელთა საკავშირო თათბირი.

გახსნა რა თათბირი, ჩარხმშენებლობის მინისტრმა ამხ. ა. ი. კოსტოუსოვმა დამსწრეთ უამბო იმ ამოცანებზე, რომლებიც დასმულია სამინისტროს ქარხნების კოლექტივების, კონსტრუქტორთა ბიუროებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წინაშე. საჭიროა შეიქმნას ლითონების ჩქაროსნული დამუშავებისათვის განკუთვნილი ახალი მანქანების სერია. ამ მანქანებში მართვისა და აწყობის სიმარტივე შეხამებულ უნდა იქნას მაღალ საექსპლოატაციო თვისებებთან და გამძლეობასთან. უნდა მივაღწიოთ ჩარხების, წნეხების, ავტომატების კონსტრუქციების წონის შემსუბუქებას და მათი გარეგნული ფორმების გაუმჯობესებას.

მიმდინარე წელს ჩარხმშენებლებმა მრეწველობას გადასცეს ათობით ახალი მაღალი წარმადობის აგრეგატი. შექმნილია მძლავრი ავტომატური ხაზი, რომლითაც შეიძლება დამზადებულ იქნას არმატურა რკინა-ბეტონის სვეტებისათვის: მაღალი წარმადობის ავტომატური ხაზი 15 ჩარხისაგან, რომლებიც განკუთვნილია ბენზინის ძრავის ცილინდრების ბლოკის დასამუშავებლად. დამთავრებულია ქარხნის მეორე რიგის — საავტომობილო დგუშების დამამზადებელი ავტომატის აწყობა.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს სამინისტროს მთავარი კონსტრუქტორის ამხ. მარდანიანისა და სამინისტროს მთავარი ტექნოლოგის ამხ. ჩარნკოს მოხსენებანი კონსტრუქტორთა ბიუროს მუშაობისა და წარმოების ტექნოლოგიის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლისა და ქარხნების ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა მუშაობის ორგანიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა სამინისტროს ტექნიკური ინსპექციის უფროსმა ამხ. მიამლინმა.

თათბირი რამდენიმე დღეს გასტანს. (საკდესი).

## კინო პიონერთა ბანაკებში

მოსკოვის გარეუბანში გაიგზავნა პირველი მოძრავი კინო, რომელიც მომსახურებას გაუწევს პიონერთა ბანაკებს.

მოძრავი კინოს მოსკოვის ბიურომ დასახა ბავშვებისათვის ფილმების ჩვენების ფართო გეგმა. შერჩეულია 130-მდე საუკეთესო კინო-სურათი: „ლენინი ოქტომბერში“, „იაკობ სვერდლოვი“, „გორკის ბავშვობა“, „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და სხვები. პიონერებსა და მოსწავლეებს უჩვენებენ დოკუმენტალურ და სამეცნიერო-პოპულარულ ფილმებს, რომლებიც მოგვითხრობენ ჩვენი სამშობლოს ხალხებზე, მის სიმდიდრეზე, მშვიდობისათვის საბჭოთა ადამიანების ბრძოლაზე. (საკდესი).

## მეცნიერ მუშაკებისა და მეშახტეთა თანამეგობრობა

**ტყიბული.** (საკ. კორ.). მეშახტეთა ქალაქში ჩამოვიდა და მუშაობა დაიწყო თბილისის კიროვის სახელობის შრომის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბრიგადამ, რომელშიც შედიან მეცნიერი მუშაკები გ. ვარაზაშვილი, ა. ჯალიაშვილი და ი. ლაფანაშვილი. ბრიგადა ამუშავებს ისეთ თემებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მეშახტეთა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლება, შახტში უსაშიშრო და რენტაბელური მუშაობის დანერგვა.

როგორც პრაქტიკამ ცხადყო, სამთო გამონამუშევრებში ქვანახშირის ჩამოსაშვები კოდების საკეტები უვარგისია, რაც აფერხებს ქვანახშირის გამოტვირთვას. დაკვირვებისა და ცდების შედეგად მეცნიერმა მუშაკებმა შეიმუშავეს კოდების საკეტების ახალი კონსტრუქცია, რომელიც დააჩქარებს კოდიდან ქვანახშირის გამოტვირთვის პროცესს, გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, უსაშიშროს გახდის შრომას.

მეცნიერი მუშაკები სანგრევში ბურღვა-აფეთქების შედეგად გამოყოფილი მტვრის სალიკვიდაციოდ მუშაობენ. ამ საკითხის წარმატებით გადაჭრის შემდეგ გაადვილდება სანგრევში მომუშავეთა შრომა, დაჩქარდება ბურღვა-აფეთქების პროცესი, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება.

მეცნიერ მუშაკთა ბრიგადა აგრეთვე ამუშავებს რელსებიდან ამცდარი საშახტო ელმავლებისა და ვაგონების ამოსაღები ხელსაწყოს კონსტრუქციას, მტვრის შესრუტვისა და სამტვრევ-საფქვავი წისქვილის მუშაობის შედეგად წარმოშობილი ხმაურის მოსპობის ღონისძიებებს.

## პარტიული ცხოვრება

# ერთი კოლმეურნეობის აგიტატორები

სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა ბათუმის რაიონში. მისმა შემოსავალმა გასულ წელს 6.394 ათასი მანეთი შეადგინა. წელს ახალშენელმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ და მრეწველობას ჩააბარონ 627 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი და 700 ათასი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, რაც ბევრად აღემატება დავალებას.

სამეურნეო მუშაობაში წარმატებათა მოპოვებას დიდად უწყობს ხელს კარგად დაყენებული პოლიტიკური აგიტაცია, აგიტკოლექტივის (ხელმძღვანელი ამხ. ნ. დუმბაძე) მოქნილი და ნაყოფიერი მუშაობა. 17 აგიტატორი და 18 მკითხველ-მესაუბრე მუშაობს კოლმეურნეობაში. აგიტკოლექტივი სისტემატურად აწყობს სემინარებს, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი აძლევს აგიტატორებს რჩევა-დარიგებას, თუ როგორ წარმართონ მუშაობა საგიტაციო უბნებში, ურჩევს მათ სასაუბრო თემებს, უზრუნველყოფს საჭირო ლიტერატურით. ამ დახმარების შედეგია ის, რომ აგიტატორთა უმრავლესობის საუბარი საინტერესო და შედეგიანია. ამჟამად აგიტატორთა მუშაობა მთლიანად გადატანილია საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში, იქ, სადაც წყდება მოსავლის ბედი.

ყოველდღიური, ცოცხალი და მიმზიდველი აგიტაციით მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მე-16 ბრიგადის აგიტატორმა მასწავლებელმა ლეილა სამსონაძემ. იგი 12 წელია რაც ამ ბრიგადაში აგიტატორად მუშაობს და სისტემატური, მაღალიდეური, საინტერესო საუბრებით ყოველთვის იპყრობს კოლმეურნეთა ყურადღებას, რაზმავს მათ ჩაისა და სხვა კულტურების შემდგომი განვითარებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის საბრძოლველად. ყოველდღე, სკოლაში მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, ამხ. სამსონაძე ბრიგადაში მიიჩქარის. კოლმეურნეებს იგი გასაგები ენით უამბობს ჩვენი სამშობლოს სამეურნეო და კულტურულ წარმატებებზე, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებზე, იმის შესახებ, თუ რა ხდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში და სხვ. აგიტატორი საუბრებს მჭიდროდ უკავშირებს კოლმეურნეობის კონკრეტულ ამოცანებს, საწარმოო გეგმების შესრულების საქმეს, ხელმძღვანელობს ბრიგადაში საველე გაზეთების გამოშვებას, ამ გაზეთებში ხშირად იბეჭდება ჩაის მოწინავე მკრეფავთა წერილები, შუქდება უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილება, მათი მეთოდები. ამიტომაც არის, რომ აღნიშნული ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავეა კოლმეურნეობაში.

აგიტატორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩამორჩენილებს, ზრუნავს მათი დაწინაურებისათვის, ააშკარავებს ზარმაცებს, გმობს მათ ქცევას საგიტაციო საუბრების დროს, აკრიტიკებს საველე გაზეთში. აგიტატორის აქტიური ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად რამდენიმე ჩამორჩენილი კოლმეურნე უკვე დაწინაურდა მუშაობაში.

აგიტატორები ქეთო კუკულაძე და თამარ სამსონაძე მოფიქრებულად შედგენილი გეგმის საფუძველზე მუშაობენ. დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის კოლმეურნეთა დასარაზმავად ისინი იყენებენ საველე გაზეთებს, რომლებშიც საფუძვლიანად შუქდება ბრიგადების სამეურნეო საქმიანობა, ხდება მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება, მჟღავნდება მუშაობის ნაკლოვანებანი.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობის კარგად დაყენების შედეგიც არის ის, რომ კოლმეურნეობაში აგროწესების ზუსტად დაცვით ჩატარდა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა.

პოლიტიკური აგიტაციის მოწყობაში არის ნაკლოვანებებიც. ზოგიერთ ბრიგადებში ჯერ კიდევ ცოტა რაოდენობით ეწყობა საგიტაციო საუბრები. აგიტატორებად ნაკლებად არიან გამოყენებული უხვი მოსავლის ოსტატები.

საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას ადვილად შეუძლია ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება. მან კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს აგიტატორებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, მიაღწიოს იმას, რომ ყველა აგიტატორის საუბარი იყოს შედეგიანი, ნამდვილად ეხმარებოდეს კოლმეურნეობას ახალ სამეურნეო წარმატებათა მოპოვებაში.

**დ. კუჭავა,**
ბათუმის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის გზის" მდივანი.

# ახალგაზრდა ენათმეცნიერები

სტალინის გენიალური საენათმეცნიერო შრომების საფუძველზე საბჭოთა მეცნიერებმა უკანასკნელ ორ წელიწადში დაამთავრეს ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი გამოკვლევანი. ამ მუშაობაში ფართო მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მეცნიერებმა — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, აგრეთვე უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების ფილოლოგიის ფაკულტეტების ასპირანტებმა.

10 ივნისს მოსკოვში გაიხსნა ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია ენათმეცნიერების საკითხებზე. კონფერენციაზე განიხილავენ ენათმეცნიერების ინსტიტუტის იმ ასპირანტთა მოხსენებებს, რომლებიც მუშაობენ საკანდიდატო დისერტაციებზე ზოგადი ენათმეცნიერების თეორიის, რუსული ენისა და სხვა ენების განვითარების ისტორიის დარგში.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში მუშაობს 146 ასპირანტი და დოქტორანტი. მათ უკვე გამოაქვეყნეს მთელი რიგი სტატიები და გამოკვლევანი ენათმეცნიერების საკითხებზე. დასაბეჭდად მომზადებულია ასპირანტების ნაშრომთა სპეციალური კრებული.

გახსნა რა კონფერენცია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა ვ. ი. ბორკოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იზრდება ახალგაზრდა ენათმეცნიერთა კადრები, რომლებიც აღფრთოვანებით მუშაობენ ენათმეცნიერების განვითარებისათვის.

ახალგაზრდა ენათმეცნიერის — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტის მ. ა. ხეგაის პირველი მოხსენება მიეძღვნა ენობრივი სესხების საკითხს, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია ენების შემდგომი განვითარების პრობლემასთან. შემდეგ მოსმენილ იქნა ასპირანტის ა. ი. სუმკინას მოხსენება XIII-XVII საუკუნეების რუსული დამწერლობის ძეგლების ანალიზის საფუძველზე რუსული ენის სინტაქსის განვითარების ისტორიის შესახებ. (საკდესი).

# სამტრედიელ მეაგურეთა წარმატება

სამტრედიის აგურის ქარხნის კოლექტივმა მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესებით შარშან გეგმით გათვალისწინებული 7 მილიონის ნაცვლად 9,5 მილიონი წითელი აგური გამოუშვა. წელს კი გადაწყვეტილი აქვს აგურის გამოშვება 12 მილიონამდე აიყვანოს. ამ პასუხსაგები ამოცანის შესასრულებლად ქარხანაში გაჩაღებულია მაღალნაყოფიერი შრომა. სამტრედიელმა მეაგურეებმა მაისის გეგმა 124 პროცენტით შეასრულეს და 200 ათასი ზეგეგმითი აგური გამოუშვეს. ასეთი წარმატება იმით მოიპოვეს, რომ წარმოებაში ფართოდ იყენებენ სტალინური პრემიის ლაურეატების ამხ. დუვანოვისა და კარტავცევის მოწინავე მეთოდებს.

ამჟამად ქარხნის მოწინავე ნოვატორები იმისათვის მუშაობენ, რომ აგურის საწნეხი ნახევარავტომატი, რომელიც ქარხნის ნორმალურ მუშაობას აფერხებს, ელექტროავტომატით შეცვალონ.

ქარხნის კოლექტივმა მაისში დიდი წარმატება მოიპოვა აგურის ჩქაროსნული შრობისა და გამოწვის საქმეში, 14-16 საათით შეამცირა აგურის შრობა ხელოვნურ საშრობში, 1.600 ცალამდე გაადიდა აგურის მიღება ღუმელის თვითეული კუბმეტრი მოცულობიდან.

ქარხნის კოლექტივი იბრძვის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და წლიური გეგმის გადამეტებით 2 მილიონი ცალი აგურის გამოშვებისათვის.

**ვ. უაჭეიშვილი,**
სამტრედიის აგურის ქარხნის დირექტორი.

# ქუთაისის სამთო ტექნიკუმი

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის სამთო ტექნიკუმმა (დირექტორი დ. პეიშვილი), რომელიც 1946 წლიდან არსებობს, უკვე გამოუშვა 312 სამთო ტექნიკოსი. მიმდინარე წელს ტექნიკუმს 128 კაცი ამთავრებს.

ქუთაისის სამთო ტექნიკუმში აღზრდილთაგან ბევრი პასუხსაგებ პოსტზე მუშაობს და საუკეთესოდ ასრულებს მინდობილ საქმეს. მაგალითად, ტექნიკუმის კურსდამთავრებულები — ი. სანდუხაძე კომბინატ „როსტოვუგოლის" შახტ „პროლეტარსკაია დიქტატურის" უბნის უფროსად მუშაობს, გ. გაბისონია ტყვარჩელის მესამე შახტის უფროსი მექანიკოსია და სხვ.

ტექნიკუმს საკმაოდ მდიდარი და კარგად მოწყობილი სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები აქვს. მარტო მიმდინარე სასწავლო წელს საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა ტექნიკუმს ლაბორატორიებისათვის უსასყიდლოდ გადასცა 4 ათასამდე მანეთის ღირებულების იარაღ-მანქანები. სასწავლო კაბინეტებთან რეგულარულად მუშაობს 10 სამეცნიერო-ტექნიკური და საგნობრივი წრე. ტექნიკუმი უზრუნველყოფილია სპეციალისტ-მასწავლებელთა სათანადო კადრებით.

მიმდინარე წელს მეშახტის დღის აღსანიშნავად ტექნიკუმს საექსპლოატაციოდ გადაეცემა სამსართულიანი სასწავლო კორპუსი, რომელიც მაიაკოვსკის გზატკეცილზე შენდება. აშენებულია და ახალი სასწავლო წლიდან ექსპლოატაციაში შევა ორი ორსართულიანი სახლი მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლებისათვის.

**ნ. მიგრელიშვილი,**
ქუთაისის სამთო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.



თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანაში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება 1952 წლის საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. სურათზე: (მარცხნიდან): მოწინავე ხარატები ე. მხითარიანი, მ. თვაური და ტ. გრიგორიანი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 180-200 პროცენტით ასრულებენ, ეცნობიან ერთ-ერთი ახალი დეტალის ნახაზს.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

# გავაძლიეროთ მუშაობა კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის

კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც საწარმოს ადმინისტრაციასა და პროფესიულ ორგანიზაციას შორის იდება, მიზნად ისახავს უზრუნველყოს პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულება, ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, თვითღირებულების შემცირება, ახალი ტექნიკისა და მოწინავე მეთოდების გამოყენებით შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა, მუშათა საყოფაცხოვრებო-კულტურული მომსახურების გაუმჯობესება.

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში მიმდინარე წლის კოლექტიური ხელშეკრულების შესრულების პირველმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ აქ უზრუნველყოფილი არ არის მისი ბევრი მნიშვნელოვანი მუხლის განხორციელება, რამაც გავლენა მოახდინა საწარმოო დავალებათა განაღდებაზე. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების განვლილი ხუთი თვის გეგმა 95,5 პროცენტით შეასრულა, ხამი ქსოვილისა — 105,4 პროცენტით, ხოლო მზა ქსოვილისა 87,5 პროცენტით.

ჩამორჩენის მიზეზად ფაბრიკის ხელმძღვანელობა ასახელებს იმას, რომ საწარმო არ მარაგდება საკმაო რაოდენობის ნედლეულით. მაგალითად, ხუთ თვეში თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას ქუთაისის აბრეშუმის კომბინატიდან არ მიუღია 331.100 მეტრი ხამი ქსოვილი.

ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია აგრეთვე შრომის არასწორი ორგანიზაცია. დაზგა-დანადგარები არ არის წესიერად მოვლილი, რის გამოც ხშირია მოწყობილობის მოცდენა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7 პროცენტისა, აპრილში დაზგების მოცდენა 12,8 პროცენტს შეადგენდა, ხოლო მაისში — 11,7 პროცენტს.

ცუდი მდგომარეობაა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეშიც. ფაბრიკა ვერ ასრულებს პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გეგმას. პირველხარისხოვანი პროდუქცია ნაცვლად 55 პროცენტისა, გამოშვებულია 50 პროცენტი. საწარმოში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი წუნი, ცუდად მუშაობენ წუნმდებლები.

ფაბრიკას ჰყავს წარჩინებული ადამიანები, ქსოვის ოსტატები — ეკატერინე ურთაშვილი, ეკატერინე მეხრაძე, თამარ კოპალეიშვილი, ნინო მელიქიძე, ქეთევან ჯაბაური, ევგენია გნეტოვა და სხვები, რომლებიც მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ. მაგრამ მოწინავე სტახანოველთა გამოცდილების გავრცელებისათვის აქ სუსტად მუშაობენ.

ფაბრიკის დირექცია და პროფესიული ორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ისინი ნაკლებად ზრუნავენ შრომის ნოვატორული მეთოდების დანერგვისათვის. ამიტომ არის, რომ ფაბრიკის წამყვან, საქსოვ საამქროში ნორმას ვერ ასრულებს 120 მუშა.

მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მიზნით ფაბრიკაში სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა, მაგრამ ამ დარგშიც არ არის შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთელი რიგი მუხლები.

ფაბრიკის სამეურნეო ხელმძღვანელებმა და საფაბრიკო კომიტეტმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ მუშაობა, ყოველდღიურად იზრუნონ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ორმხრივ ვალდებულებათა შესრულებისათვის, თვითეული მუშა ჩააბან სოციალისტურ შეჯიბრებაში, უზრუნველყონ მოწინავეთა გამოცდილების გავრცელება, მოაწყონ შეჯიბრების შედეგთა ფართოდ გაცნობა და ამით მიაღწიონ საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

**ლ. ლომიძე.**

# დავაჩქაროთ მოსავლის აღებისათვის მზადება

ხაშური. (საკ. კორ.). მთელი რიგი კოლმეურნეობები სუსტად ემზადებიან მოსავლის აღებისათვის. მაგალითად, სოფელ კრისხევის, წაღვლის, გომის, ტკოცის, ფლევის, ვაყის და სხვა კოლმეურნეობებში არ დაუწყიათ ხორბლის საწყობების რემონტი.

სოფელ სატივის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ბ. მიქელაძე) აკლიათ ტომრები, ურმები, წესრიგზე მოყვანილი არ არის ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები. გვერდისუბნის კოლმეურნეობაში აკლიათ ცელები და სხვა ინვენტარი. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაკები არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან კოლმეურნეობებს ამ საქმეში; არ იციან, როგორ ემზადებიან კოლმეურნეობები პურეულის ასაღებად.

მოსავლის აღებისათვის მზადებაში ჩამორჩა ხაშურის მტს-ი (დირექტორი გ. გაგნიძე, მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში მ. ციცქიშვილი), შეუკეთებელია სამი კომბაინი და 5 სალეწი მანქანა. ზოგიერთი ნაწილის უქონლობის გამო ჭიანურდება ტრაქტორების რემონტიც.

ხორბლის ახალ მოსავალს მოუმზადებელი ხვდება ზაგოტზერნოს გომის საწყობი. ამ მხრივ არც ხაშურის მთავარ საწყობშია ყველაფერი რიგზე.

პარტიის ხაშურის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა 27 მაისს მიიღეს დადგენილება მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხზე. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დადგენილებას საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები დღემდე არ იცნობენ. რაღა ფასი აქვს ასეთ დადგენილებას?

**ვ. გურგენიძე,**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

# თამბაქოს უხვი მოსავლის მისაღებად

**ბათუმი.** (საკ. კორ.). ყოველწლიურად ზრდიან თამბაქოს მოსავალს ბათუმის რაიონის აჭარისაღმართის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში. შარშან აქ გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარეს 76,7 ცენტნერი ნედლეული და დავალება 164,3 პროცენტით შეასრულეს.

წელს კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 14,5 ცენტნერის ნაცვლად მოიყვანონ 20 ცენტნერი „სამსუნის" ჯიშის თამბაქო, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცენ 90-100 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ნედლეული. ამ ვალდებულების გასანაღდებლად კარგად მუშაობენ.

ბრიგადამ, რომელსაც ლენინის ორდენოსანი ი. ნაგერვაძე ხელმძღვანელობს, გეგმით გათვალისწინებულ 4,5 ჰექტარ ფართობზე თამბაქოს რგვა ვადამდე აგროწესების ზუსტად დაცვით დაამთავრა. ბრიგადა იბრძვის ჰექტარზე 25 ცენტნერი თამბაქოს მიღებისათვის. ამ ოდენობის თამბაქოს მოყვანისათვის იბრძვის აგრეთვე ე. მოფინაძის რგოლი. მოწინავე კოლმეურნეები ს. ნაგერვაძე, ა. დემურიძე ბეჯითად მუშაობენ თამბაქოს პლანტაციებში და ყოველდღიურ დავალებას 150-200 პროცენტით ანაღდებენ.

# საბჭოთა წყობილების მძლავრი ძალა

★

## „პრავდის" 11/VI მოწინავე

★

ჩვენს ქვეყანაში მძლავრად ვითარდება სოციალისტური ეკონომიკა და კულტურა, განუწყვეტლივ უმჯობესდება მილიონობით ადამიანის კეთილდღეობა. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა კავშირის მაგალითი ცხადყოფს თუ რა გმირობა და რა უდიდეს გამარჯვებათა მოპოვება შეუძლია ხალხს, რომელიც განთავისუფლებულია კაპიტალისტური მონობის ბორკილებისაგან. ოქტომბრის რევოლუციით შობილმა სოციალისტურმა წყობილებამ ჩვენს ხალხს მისცა მძლავრი და უძლეველი ძალა. ჩვენმა ხალხმა მსოფლიოში პირველად დაამხო ექსპლოატატორ-კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლება, დაიცვა დიდი ოქტომბრის მონაპოვარნი და მოკლე ვადაში ძირეულად გარდაქმნა ჩვენი ქვეყნის სახე.

ომამდელი სტალინური ხუთწლედების მანძილზე სსრ კავშირის მშრომელებმა განახორციელეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მთლიანად და სამუდამოდ მოსპეს ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორული ელემენტები, ააშენეს სოციალისტური საზოგადოება. ამის შედეგად ჩვენი სამშობლო აგრარული და უძლური ქვეყნიდან, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კაპრიზებზე დამოკიდებული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიულ და მძლავრ ქვეყნად, რომელიც სავსებით დამოუკიდებელია მსოფლიო კაპიტალიზმის კაპრიზებისაგან.

ყველა ამ ისტორიულ წარმატებას საბჭოთა ხალხი უნდა უმადლოდეს ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობას, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მიჰყავდა სოციალიზმისაკენ, ულმობლად ანადგურებდა ტროცკისტებს, მემარჯვენეებს და მშრომელთა სხვა მტრებს, ყურს არ უგდებდა არც პირველთა მუქარას და არც მეორეთა ღრიანცელს და მტკიცედ მიდიოდა წინ, მიუხედავად ყველაფრისა. **„პარტიის დამსახურება ის არის,** — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **რომ იგი არ შეეგუებია ჩამორჩენილებს, არ ეშინოდა ევლო დინების წინააღმდეგ და მუდამ ინარჩუნებდა წამყვანი ძალის პოზიციას. უეჭველია, ასეთი სიმტკიცის და გამძლეობის გარეშე კომუნისტური პარტია ვერ შეძლებდა დაეცვა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკა".**

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სოციალისტური სისტემის დამკვიდრებამ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობამ, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებამ, ხალხის მასების კულტურის ამაღლებამ, მათი პოლიტიკური აქტივობის გაძლიერებამ — ყოველივე ამან შემდგომ განამტკიცა საბჭოთა წყობილება.

ექსპლოატაციის უღლისაგან განთავისუფლებული საბჭოთა საზოგადოებისათვის უცხოა კაპიტალიზმის დამახასიათებელი ანტაგონისტური წინააღმდეგობანი, იგი თავისუფალია კლასობრივი შეტაკებებისაგან და მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მეგობრული თანამშრომლობის ნიმუშს წარმოადგენს. ამ ერთიანობის საფუძველზე გაძლიერდა ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი.

სოციალისტური წყობილების მძლავრი ძალა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა დიდი სამამულო ომის პერიოდში. ომის მკაცრი განსაცდელის წლებში საბჭოთა ხალხმა გვიჩვენა მასობრივი გმირობის, მამაცობისა და გამბედაობის უმაგალითო ნიმუშები. ომის უმაგალითო სიძნელეებმა კი არ გატეხეს, არამედ უფრო გამოაწრთეს საბჭოთა ხალხის რკინისებური ნებისყოფა და მამაცური სული, ხალხისა, რომელმაც სამართლიანად მოიხვეჭა გმირი ხალხის სახელი.

ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვება ნიშნავდა, რომ გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ, გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, გაიმარჯვეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა.

საბჭოთა ხალხმა არა მარტო დაიცვა თავისი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ იხსნა მთელი კაცობრიობა ფაშისტური დამონების საფრთხისაგან. საბჭოთა არმიის მიერ განთავისუფლებულმა ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მშრომელებმა სამუდამოდ მოიცილეს კაპიტალიზმის უღელი, დაამყარეს თავიანთ ქვეყნებში სახალხო დემოკრატიის რეჟიმი, შეუდგნენ ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობას. ჩვენმა ხალხმა უდიდესი დახმარება გაუწია ჩინელ ხალხს იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომში და ახლაც ეხმარება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმეში.

სამამულო ომში მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება საბჭოთა ადამიანებმა მოიპოვეს ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალური ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით. ი. ბ. სტალინის წიგნმა „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" ჩვენი ხალხი შეაიარაღა ბრძოლისა და გამარჯვებათა დიადი პროგრამით.

ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ამხანაგმა სტალინმა 1946 წლის 9 თებერვლის ისტორიულ სიტყვაში დასახა კომუნისტური პარტიის მუშაობის გეგმები უახლოესი დროისა და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის. საბჭოთა ხალხმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო სახალხო მეურნეობისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის სტალინური პროგრამა და თავდადებით ახორციელებს მას.

საბჭოთა ადამიანები მთელ ძალღონესა და ცოდნას ახმარენ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას სამშობლოს საკეთილდღეოდ. მასების დაუშრეტელი შემოქმედებითი ინიციატივა, სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობა, მილიონობით მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის განუწყვეტელი ზრდა კვლავ და კვლავ ცხადყოფს სოციალისტური წყობილების დიდ უპირატესობას, მის განუზომელ უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო სოციალისტურმა შეჯიბრებამ საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, საწარმოთა მუშაობის უკეთესი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის, სოციალისტური მინდვრების დიდი მოსავლიანობისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განუწყვეტელი აღმავლობისათვის. დღითიდღე მატულობს მოწინავე საამქროებისა და საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების რიცხვი, იზრდება წარმოების ნოვატორთა რიგები. ათასობით ადამიანს შესანიშნავი შრომითი გმირობისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირისა და სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდებანი.

საბჭოთა ხალხმა ვადამდე შეასრულა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი და ახლა იბრძვის იმისათვის, რომ კიდევ უფრო შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვოს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. საბჭოთა წყობილების ძლიერების ახალი ბრწყინვალე დადასტურებაა ვოლგასა და დნეპრზე, დონსა და ამუ-დარიაზე გიგანტური ჰიდროელექტროსადგურებისა და არხების მშენებლობა, ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის განხორციელება.

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში კიდევ ერთი შესანიშნავი მოვლენა მოხდა — ერთმანეთს შეუერთდნენ რუსეთის დიდი მდინარეები ვოლგა და დონი. განხორციელდა ჩვენი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება! საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ ჩვენს ქვეყანაში მთელი შემოქმედებითი მუშაობა ადამიანის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ ხორციელდება. ომის შემდეგ სსრ კავშირში უკვე ხუთჯერ შემცირდა მასობრივი მოხმარების საქონლის საცალო ფასები. მასების კეთილდღეობის განუწყვეტელ გაუმჯობესებას გამოხატავს საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის უდიდესი გაქანება, კინოების, თეატრების, კლუბების, სანატორიუმებისა და კურორტების ქსელის გაფართოება.

ჩვენი ხალხის უდიდესი წარმატებანი შესაძლებელი გახდა საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობის მოყვარული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების მეოხებით. სულ სხვა პოლიტიკას ახორციელებენ ბურჟუაზიული სახელმწიფოები. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კაპიტალის სხვა ქვეყნებში წარმოებს ახალი ომის გააფთრებული მზადება და გამალებული შეიარაღება ერთი მუჭა მილიონერებისა და მილიარდერების გამდიდრებისათვის. იმპერიალისტები უკვე თითქმის ორი წელია ავაზაკურ ომს აწარმოებენ კორეაში, იყენებენ მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მოსპობის ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ საშუალებებს. იმპერიალისტ მტაცებელთა სისხლიანი ბოროტმოქმედებანი მთელი პროგრესული კაცობრიობის აღშფოთებასა და წინააღმდეგობას იწვევენ.

მშვიდობისათვის, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ირაზმება სულ ახალი და ახალი მილიონობით ადამიანი, რომლებიც თავიანთ რიგებს უერთებენ მშვიდობის მომხრეთა მძლავრ ბანაკს. ამ წარმატებათა გამო ჩვენს ქვეყანას სიმპათიით ეკიდება მთელი პროგრესული კაცობრიობა. სსრ კავშირის ისტორიულ გამოცდილებას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ამ გამოცდილებით სწავლობენ, საბჭოთა ადამიანების მაგალითს ბაძავენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, რომლებიც წარმატებით აშენებენ სოციალიზმს.

იჩენენ რა პატრიოტულ ზრუნვას საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენი ქვეყნის მშრომელები კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას 1952 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი ამრავლებს თავის წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მტკიცედ მიდის კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უდარდელობის და დამნაშავეთა მიმართ წაყრუების შედეგი

ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ ზემდგომ ორგანოებში, მათ შორის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროშიც შევიდა სიგნალი, რომელიც ამხილებდა ლუდ-ლიმონათის ტრესტის სისტემაში არსებულ სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-განიავებას, საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევას, დამნაშავეთა მიმართ წაყრუებას და სხვ. მაგრამ მშრომელთა კრიტიკული შენიშვნებიდან სათანადო დასკვნა არავის გაუკეთებია.

ბოლოს, როგორც იქნა, მყუდროება დაირღვა. 1950 წლის 18 ნოემბერს საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებამდე მიაღწია მამხილებელმა დოკუმენტებმა, რომლებიც ამჟღავნებდნენ ლუდ-ლიმონათის ტრესტის საქმიანობაში გამეფებულ უმსგავსობას. მოსალოდნელი იყო, რომ პროკურატურის მუშაკები სიფხიზლეს გამოიჩენდნენ, ზუსტად და განუხრელად განახორციელებდნენ სოციალისტურ კანონიერებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდი მოხდა. დამნაშავენი და სახელმწიფო ქონების მიმთვისებლები დღემდე არხეინად გრძნობენ თავს.

ლუდ-ლიმონათის ტრესტის თბილისის ლიმონათის ქარხნის საწყობის გამგე შ. ბოლქვაძე და ამავე ტრესტის გამსაღებელი კანტორის ექსპედიტორი ა. მაისურაძე წლების მანძილზე შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ, აფორმებდნენ ყალბ აქტებს. ამ გზით ბოროტმოქმედებმა ათეულ ათასობით მანეთი ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს.

ტარის გადაზიდვასთან დაკავშირებით ა. მაისურაძე ხელოვნურად ზრდიდა ავტომანქანის გადარბენის მანძილს, რითაც ხელს ითბობდნენ. მაისურაძემ მანქანის მძღოლ მ. ვოიტუხოვიჩთან ერთად საგზურში უჩვენა ორი რეისით ლიმონათის ბოთლების გადაზიდვა ისეთ მაღაზიაში, რომელიც ფაქტიურად არ არსებობდა. მარტო ერთი ავტომანქანის გარბენის მანძილი გადიდებულ იქნა 2.846 კილომეტრით, რის შედეგადაც ბოროტმოქმედებმა, როგორც ზედმეტი ბენზინის საფასურად, ისე ხელფასის სახით მნიშვნელოვანი თანხა მიითვისეს. მუშაობის ასეთ „მეთოდს“ ფართოდ ავრცელებდა აგრეთვე ექსპედიტორი ი. ცაგარეიშვილი. ტრესტის ხელმძღვანელთა წაყრუებით მარტო საგზურების არასწორი გაფორმების შედეგად ბოროტმოქმედებმა სახელმწიფოს 180 ათასი მანეთის ზარალი მიაყენეს.

ტრესტის გამსაღებელი კანტორის მმართველმა ვ. მანჯგალაძემ და მთავარმა ბუხჰალტერმა ვ. ბერიკაშვილმა დაარღვიეს საბჭოთა ვაჭრობის წესები, ბუნებად აიგდეს მომხმარებლები, სასაწყობებში ზედმეტად გადაახდევინეს 35.324 მანეთი. ბოროტმოქმედთ დანაშაულზე წაასწრეს, სახელმწიფო ქონების გამნიავებლები, კომბინატორები პასუხისგებაში მისცეს. საბრალდებო სკამზე უნდა დამსხდარიყვნენ ვ. მანჯგალაძე, ა. მაისურაძე, ვ. ბერიკაშვილი და სხვები.

დაიწყო კვლევა-ძიება. თბილისის სტალინის რაიონის პროკურატურაში ამ საქმეზე რამდენიმე ტომი შედგა. ბოროტმოქმედებს „შეფები“ გამოუჩნდნენ. პირველ რიგში დამცველის როლში გამოდიოდა კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. კოდუა. იგი პარტიის ბერიას რაიკომის ბიუროზე, წინასწარ თათბირებზე ძალღონეს არ იშურებდა დამნაშავეთა გასამართლებლად. საქმე ხელიდან ხელში გადადიოდა ხან თბილისის, ხან რესპუბლიკის პროკურატურაში.

გავიდა წლები. ბრალდებულთა საქმეების გამოძიებას დასასრული არ უჩანდა. ამან საშუალება მისცა ბოროტმოქმედთ ახალ დანაშაულთა ჩასადენად.

პროკურატურის ორგანოების ზოგიერთი მუშაკის საქმიანობის „სტილზე“ მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული საქმის ძირითადი დოკუმენტები შუაზეა გადახეული. საინტერესოა ვის დასჭირდა ეს? აღსანიშნავია ერთი ფაქტიც — გამოძიების დროს მთავარ დამნაშავეებს გვერდი აუარეს, რამდენიმე წელი მოანდომეს მაღაზიის მუშაკების გოგოლაძისა და ნოზაძის საქმეს. ბოლოს დაადგინეს, რომ ისინი მართლები არიან. ამ საფარ ქვეშ მთავარ დამნაშავეებს ხელ-ფეხი გაუხსნეს. გოგოლაძემ დამნაშავეთა არასწორი საქციელი სათანადო ორგანოებს აცნობა. ამის საპასუხოდ ლუდ-ლიმონათის ტრესტის მმართველის ამხ. ჩუბინიშვილის განკარგულებით კვლავ აღიძრა საკითხი გოგოლაძის პასუხისგებაში მისაცემად. რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა ამხ. ფხაკაძემ პირველად 1952 წლის 17 აპრილს გოგოლაძეს მისცა ოფიციალური ცნობა: „თქვენს განცხადებაზე გაცნობებთ, რომ თქვენი საქმე წარმოებით არის მოსპობილი ბრალდების დაუდასტურებლობის გამო“, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ იგივე ფხაკაძე პასუხისგებაში აძლევს გოგოლაძეს.

სწორედ ამაზეა ნათქვამი: „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

ტრესტის გამსაღებელი კანტორის მმართველად ამჟამადაც მუშაობს განებივრებული ვ. მანჯგალაძე. ჩვენ აქ არ შევუდგებით მისი ბნელი წარსულის მთლიანად გადმოცემას. აღვნიშნავთ მხოლოდ მისი ბოლო ხანების „მოღვაწეობას“. მანჯგალაძე თბილისის სამხედრო ვაჭრობის ქსელიდან „გაათავისუფლეს“ მუშაობის ჩაშლისათვის. მაგრამ ნაცნობ-მეგობრების დახმარებით მას ლიმონათის ტრესტის გამსაღებელი კანტორის მმართველის ხელმოსათბობი ადგილი ჩააბარეს. მანჯგალაძემ აქაც ძველებურად განაგრძო მუშაობა.

1950 წლის აპრილში თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-5 უბნის სახალხო სასამართლომ გაარჩია ტრესტის თანამშრომლის, მანჯგალაძის მეგობრის, ვინმე ო. ასხაბაძის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა 78 ათასი მანეთის გაფლანგვა. გამოირკვა, რომ აღნიშნულ საქმეში დანაშაული მანჯგალაძესაც მიუძღვოდა. სასამართლომ გამოიტანა კერძო დადგენილება, რომელშიც წერია: „დირექტორ მანჯგალაძისა და ექსპედიტორ ბაციკაძის მიმართ მასალები გადაეგზავნოს რაიონის პროკურატურას მათი პასუხისგებაში მისაცემად“...

წლები გადის, მფარველთა დახმარებით მანჯგალაძე კვლავ მშვიდად გრძნობს თავს. პროკურატურისა და სასამართლოს ზოგიერთი მუშაკი აშკარად აფარებს ხელს დამნაშავეს, არა სურს „თავისი ხალხის“ გაფუჭება.

კადრების შერჩევისა და შემოწმებისას მანჯგალაძე ხელმძღვანელობს ვიწრო ოჯახური პრინციპით. მისი მოღვაწეობის დროს ვინმე ბ. დარბაიძემ 79.900 მანეთი მიითვისა, ს. ყურაშვილმა—26.596 მანეთი და ა. შ. მანჯგალაძე ხშირად დამნაშავეებს ხელს აფარებს. მან განცხადების საფუძველზე სამუშაოდან გაათავისუფლა მთავარი ბუხჰალტერი ვ. ბერიკაშვილი, რომელმაც სახელმწიფო ქონების განიავების მიზნით ტრესტის მუშაობაში არევ-დარევა შეიტანა, ეწეოდა ათასგვარ კომბინაციებს; თავისი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლა აგრეთვე ექსპედიტორი ა. მაისურაძე. მაშინ, როცა ორივენი პასუხისგებაში არიან მიცემული. ვინმე გეგეჭკორმა 7.717 მანეთის ქონება გაანიავა, მანჯგალაძემ იგი შეიბრალა და მხოლოდ დანაკლისი დააფარვინა.

ტრესტის ხელმძღვანელობა დამნაშავეებისადმი ლმობიერებას იჩენს. გასული წლის 3 ივლისის № 109 ბრძანებაში, რომლითაც დადგენილია: მაღაზიებში 80.000 მანეთის გაფლანგვა, ტრესტის მმართველი ჩუბინიშვილი დაკმაყოფილდა მანჯგალაძისა და უფროს ბუხჰალტერ რევიშვილისათვის მარტო საყვედურის გამოცხადებით.

ლუდ-ლიმონათის ტრესტის დამხმარე მეურნეობა, რომლის მუშაობა მთლიანად ჩაიშალა, გადაქცეული იყო ზოგიერთი პირის ხელმოსათბობ ადგილად. ამ მეურნეობის სახსრებიდან დღესაც ირიცხება დავალიანებად 19 ათასი მანეთი: აქედან ვინმე ხუხუნაშვილზე — 8.462 მანეთი, შ. მახარაძეზე — 683 მანეთი და სხვ.

ლუდ-ლიმონათის ტრესტის ბალანსზე დღესაც ირიცხება დებიტორული დავალიანება 2.536 ათასი მანეთი, აქედან ასეულ ათასობით მანეთი გაფლანგული და დატაცებულია.

კვების მრეწველობის სამინისტროს მუშაობის პრაქტიკაში ვხვდებით ამა თუ იმ მუშაკის შეფასებისადმი არასწორ მიდგომას. აქ ზოგჯერ ადამიანებზე მსჯელობენ არა მათი საქმეების, არამედ ფორმალური მონაცემების მიხედვით. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ამხ. ჩუბინიშვილის მიერ დაშვებული შეცდომებიდან და ნაკლოვანებებიდან რატომღაც შესაფერის დასკვნებს არ აკეთებენ.

არსებული ნაკლოვანებანი მეტწილად აიხსნება იმითაც, რომ ჯეროვან სიმაღლეზე არა დგას აქ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. იგი შეხამებული არ არის სამეურნეო მუშაობასთან. პრაქტიკულად არ ხორციელდება და, როგორც წესი, პატივისცემით არ სარგებლობს კრიტიკა ქვემოდან და თვითკრიტიკა, ყურს არ უგდებენ მშრომელთა სიგნალებს.

პარტბიუროს ყოფილმა მდივანმა ამხ. ქორქოლიანმა ერთხელ პარტბიუროს სხდომაზე დააყენა საკითხი არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ. დადგენილებაც მიიღეს, მაგრამ იგი მანჯგალაძემ და კადრების განყოფილების გამგემ არაბიანმა არ შეასრულეს. ტრესტში არსებული მდგომარეობა კარგად იციან პარტიის ორჯონიკიძის რაიკომსა და თბილისის საქალაქო კომიტეტში, მაგრამ რატომღაც დღემდე სათანადო ზომებს არ იღებენ.

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომი სუსტ დახმარებას უწევს პარტბიუროს ახალგაზრდა მდივანს ამხ. ე. ლომსაძეს. პარტბიუროსათვის და პარტიული კრებისათვის საკითხები მზადდება ზერელედ, ვალდებულების მოხდის მიზნით. პარტბიურომ აგიტატორად გამოჰყო კანტორის მმართველი ვ. მანჯგალაძე, რომელსაც დაავალა „სავაჭრო ორგანიზაციის მუშაკთა აღზრდა და მექრთამეებთან ბრძოლა“. საინტერესოა, რა ფასი ექნება აგიტატორის სიტყვას, როცა თვითონ ამ საქმეში წმინდად არ გამოიყურება.

ტრესტში გამეფებულია თვითდამშვიდება, მაამებლობა, უდარდელობა. სასტიკად ირღვევა შრომის დისციპლინა, პარტბიუროს კი მდგომარეობის გამოსასწორებლად ასეთი უკბილო დადგენილება გამოაქვს: „გამოიყოს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ჩუბინიშვილი (მმართველი), იაშვილი, ქანთარია, არაბიანი, რომლებიც სისტემატურად შეამოწმებენ ტრესტის თანამშრომლების დატვირთვას სამუშაო საათების დროს (!)“.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობს ლუდ-ლიმონათის ტრესტს. არ შეიძლება სხვა რამეს დავაბრალოთ თუ არა ბიუროკრატიულ-კაბინეტური მუშაობის სტილს, ის სერიოზული შეცდომები და დამახინჯებები, რასაც ტრესტის მუშაობაში ვხვდებით.

ა. გოცირიძე,
შ. ჟოჟუა.

## რატომ ურიგდებიან ნაკლოვანებებს?

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ახალციხის საქალაქო საბჭომ ერთგვარი მუშაობა გასწია ქალაქის კეთილმოსაწყობად. სამხრეთ საქართველოს ეს უძველესი ქალაქი დამშვენდა ახალი სკვერებით, გაზონებით, ლამაზი ტროტუარებით. გაფართოვდა ელექტროგანათების ქსელი, აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები.

მიუხედავად ამისა, არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ნაკლები ყურადღება ექცევა სანიტარული წესრიგის დაცვას. ქალაქში არ არის საპირფარეშოები, მოუწესრიგებელია საკანალიზაციო ქსელი. ქუჩებში შეუწყნარებელი უსუფთაობაა, რაც საფრთხეს უქმნის ამ ქუჩებზე მცხოვრებ ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ნუცუბიძე და კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე რ. ჩომახიძე ამ მდგომარეობას რატომღაც ურიგდებიან.

უცნაურია სოფელ ჭაჭარაქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გ. ოვაკიმიანის საქციელი. კოლმეურნეობამ რამდენიმე ხნის წინათ ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე — რუსთაველის ქუჩაზე თვითნებურად ააგო საკოლმეურნეო ფერმის პირუტყვის ბოსელი, რომელიც აბინძურებს ქუჩას. ცხადია, ამაში ბრალი მიუძღვის საქალაქო საბჭოსაც, რომელმაც წინააღმდეგობა არ გაუწია კოლმეურნეობის თავმჯდომარის ასეთ მოქმედებას.

სადგურის უკან მოზრდილ მოედანზე აშენებენ ტყე-პარკს. ეს კარგი წამოწყებაა. მაგრამ ამ ტყე-პარკში ყრიან რკინიგზის სადგურიდან მონახვეტ ნაგავს.

ქალაქ ახალციხეში არსებობს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური, რომელსაც ამხ. მ. ავეტიკოვი ხელმძღვანელობს. სადგური ვალდებულია განახორციელოს უსუფთაობის საწინააღმდეგო ღონისძიებანი, მაგრამ, როგორც ჩანს, სანიტარიის მუშაკებიც შეურიგდნენ ანტისანიტარიას. ამას მოწმობს ნაგვის გროვა მათი შენობის ირგვლივ.

ქალაქის მოსახლეობის 30 პროცენტი მოკლებულია ელექტროსინათლეს. დიდი ხანია შენდება მეოთხე სატრანსფორმატორო კიოსკი, მაგრამ მშენებლობა შეჩერდა და გადაუხურავი შენობა ფუჭდება. საჭიროა კიოსკის მშენებლობის დაჩქარება, რაც სინათლით ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფს მოსახლეობას. ამ საქმეში საჭიროა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დახმარებაც.

ახალციხის საქალაქო საბჭომ ქმედითი ზომები უნდა მიიღოს არსებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად, ხოლო რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. გაჩეჩილაძემ მეტი დახმარება გაუწიოს საქალაქო საბჭოს.

ერ. ხარებავა,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

## ხელოსნებმა კუთვნილი გასამრჯელო უნდა მიიღონ

**ქარელი.** (საკ. კორ.). საქართველოს ცხოველმზადების ტრესტის აგარის პუნქტის დირექციამ (დირექტორი გ. ჩიტაძე) შეთანხმების საფუძველზე გასულ წელს ახალი ბოსლის მშენებლობაზე ორი თვის განმავლობაში ამუშავა დურგალთა ბრიგადა, რომელსაც კ. ლალიაშვილი ხელმძღვანელობდა. ბრიგადის მიერ შესრულებული სამუშაოები შემმოწმებელმა კომისიამ კარგად შეაფასა. პუნქტის ინჟინერმა ვ. ნოზაძემ შესრულებულ სამუშაოზე სათანადო უწყისები შეადგინა. დურგალთა ბრიგადისათვის 8.900 მანეთი უნდა მიეცათ. ეს იყო გასული წლის ოქტომბერში. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მუშებმა მრავალჯერ მიაკითხეს აგარის პუნქტის ხელმძღვანელობას, მაგრამ კუთვნილი ხელფასი ვერ მიიღეს. ხელფასის გაუცემლობაში აგარის პუნქტის ხელმძღვანელობა ბრალს სდებს საქცხოველმზადების ტრესტის მთავარ ინჟინერს ამხ. ლაჭავას.

საჭიროა საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ შეამოწმოს ვის მიუძღვის ბრალი მუშებისათვის ხელფასის მიცემის დაგვიანებაში, უზრუნველყოს მუშების სამართლიანი მოთხოვნილების სწრაფად დაკმაყოფილება და მკაცრად დასაჯოს დამნაშავენი.

## გაიხსნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესია

**ვენა,** 9 ივნისი. (საკდესი). დღეს ვენაში გაიხსნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესია. სესიას, აღმასრულებელი ბიუროს წევრების გარდა, ესწრებიან საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის, სსრ კავშირის, ჩინეთის, გერმანიის, ავსტრიის, ალჟირის, არგენტინის, მექსიკის, ჰოლანდიის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, ფინეთის, კუბისა და სხვა ქვეყნების პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

1) მშრომელთა ბრძოლა პროფკავშირულ უფლებათა დასაცავად,

2) ჩრდილოეთ აფრიკის პროფკავშირებში შექმნილი მდგომარეობა,

3) პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საწარმოო განყოფილებებში შემავალ საერთაშორისო გაერთიანებათა მოღვაწეობა,

4) მზადება სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხთა საერთაშორისო კონფერენციისათვის.

დღის წესრიგის პირველი პუნქტის შესახებ დღეს მოხსენება გააკეთა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა.

სესია 15 ივნისამდე გასტანს.

## პოლონეთის სეიმის სხდომაზე

**ვარშავა,** 9 ივნისი. (საკდესი). სეიმის მარშალმა კოვალსკიმ დღეს გახსნა სეიმის სხდომა და აცნობა დეპუტატებს, რომ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ პრეზიდენტმა ბერუტმა მას გამოუგზავნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებულ ვადაში.

როგორც კოვალსკიმ აღნიშნა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი განხილულ იქნა მთელი ხალხის მიერ. საკონსტიტუციო კომისიამ განიხილა შესწორებანი და დამატებანი, რომლებიც კონსტიტუციის პროექტში შესატანად წარმოდგენილ იქნა მოსახლეობის კრებებზე და ცალკეული მოქალაქეების მიერ.

კოვალსკიმ წინადადებით მიმართა პარტიების დეპუტატთა ფრაქციებს და ყველა დეპუტატს გაეცნონ კონსტიტუციის პროექტს და შეიტანონ თავიანთი შესწორებანი და წინადადებანი, რათა საკონსტიტუციო კომისიამ განიხილოს ისინი სეიმის პლენარულ სხდომამდე, რომელიც გადაწყვეტს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების საკითხს.

შემდეგ სეიმი შეუდგა დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვას. „სოფლის და სხვა დასახლებული პუნქტების ელექტროფიკაციის“ კანონში ცვლილებათა შეტანის საკითხზე სეიმის კომისიის მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პოლონეთის სოფლის ელექტროფიკაციის დარგში დიდი წარმატებებია მიღწეული. თუ ომამდე პოლონეთში ელექტროფიცირებული იყო 1.200-ზე ცოტა მეტი სოფელი, უკვე 1951 წლის დამლევისთვის ელექტროფიცირებული სოფლების რაოდენობამ 13.000-ს გადააჭარბა.

## პუერტო-რიკოს კომუნისტური პარტიის საგანგებო კონფერენცია

**ნიუ-იორკი,** 10 ივნისი. (საკდესი). როგორც იუწყება ყოველკვირეული გაზეთი „ელ პუებლო“, რომელიც სან-ხუანში (პუერტო-რიკო) გამოდის, პუერტო-რიკოს კომუნისტურმა პარტიამ გამართა საგანგებო კონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ პარტია გააძლიერებს ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის, პუერტო-რიკოს ჯარების კორეიდან დაუყოვნებლივ დაბრუნებისა და მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. პარტიამ განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მონაწილეობა მიიღოს შემდეგ არჩევნებში, რაც ნოემბერში უნდა მოეწყოს.

კომუნისტურმა პარტიამ საკანონმდებლო კრების არჩევნებში წამოაყენა რამდენიმე კანდიდატი, მათ შორის ახალგაზრდობის ლიდერი მარერნო, რომელიც საპატიმროში ზის, კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხესუს მედინა და სხვები.

კომუნისტური პარტიის კონფერენციაზე ხუან სანტოს რივერა არჩეულ იქნა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარედ, ხოლო სესარ ანდრეუ იგლესიასი — გენერალურ მდივნად.

## ირანის საშინაო საქმეებში ინგლისის ჩარევის გამო

### ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში

**ჰააგა,** 10 ივნისი. (საკდესი). გუშინ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში დაიწყო ირანისა და ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის იმ კონფლიქტის ახალი განხილვა, რომელიც წარმოიშვა ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის შედეგად და რომელიც დაკავშირებულია ირანის საშინაო საქმეებში ინგლისის ჩარევასთან.

სასამართლოს სხდომაზე ირჩეოდა საკითხი, კომპეტენტურია თუ არა საერთაშორისო სასამართლო გადაჭრას ასეთი კონფლიქტები. ინგლისის წარმომადგენელმა ამაზე დადებითი პასუხი გასცა.

სხდომაზე გამოსულმა ირანის პრემიერ-მინისტრმა მოსადიკმა აღნიშნა ინგლისის მხარის მიერ წამოყენებული ბრალდების უსაფუძვლობა. მოსადიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ირანი მუდამ იტანჯებოდა ინგლისის იმპერიალიზმის ხრიკებით.

საერთაშორისო სასამართლოს სხდომა აღნიშნულ საკითხზე ორ კვირამდე გასტანს.

## ესპანელ დემოკრატთა ბრძოლა მშვიდობისათვის

**მონტევიდეო,** 10 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ესპანია დემოკრატიკა“ იუწყება, რომ ესპანელი ემიგრანტები წარმატებით ახორციელებენ კამპანიას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიოს საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შესაგროვებლად. მიმართვას უკვე მოაწერა ხელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მყოფმა 443.320 ესპანელმა.

## ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიისათვის

### დასავლეთ გერმანიის გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების განცხადება

**ბერლინი,** 11 ივნისი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტოს ცნობით, დასავლეთ გერმანიის გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პრეზიდიუმი თავის განცხადებაში მოუწოდებს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას ძლიერი დემონსტრაციების, მიტინგებისა და კრებების მოწყობით 1952 წლის 21 და 22 ივნისის დღეები, საბჭოთა კავშირზე ფაშისტთა თავდასხმის წლისთავი, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის და ბონის სეპარატული ხელშეკრულების წინააღმდეგ ხალხის ნების გამოვლინების კულმინაციურ პუნქტად გადააქციოს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ დასავლეთ გერმანიის დამონების შესახებ „საერთო ხელშეკრულების“ ხელმოწერით ადენაუერმა და დასავლეთის სახელმწიფოებმა ყველას წინაშე გამოამჟღავნეს თავი როგორც გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესების მტრებმა“.

მიუთითებს რა იმაზე, რომ გერმანელთა ურთიერთგაგებისა და სამართლიანი საზავო ხელშეკრულებისათვის შექმნილმა კონგრესმა გამოაქვეყნა მოწოდება „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ ნების გამოვლინების შესახებ, პრეზიდიუმი თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნავს:

„გერმანელთა ურთიერთგაგებისა და სამართლიანი საზავო ხელშეკრულებისათვის კონგრესის დაარსებასთან ერთად წარმოიშვა საჭირო ორგანიზაცია, რომლის მეშვეობითაც გერმანელი პატრიოტები აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ხელს უწვდიან ერთმანეთს გერმანელი ერის ერთობლივად დაცვისათვის. ამიტომ როგორც ეროვნული საბრძოლო ორგანიზაცია გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება მიესალმება გერმანელთა ურთიერთგაგებისა და სამართლიანი საზავო ხელშეკრულებისათვის კონგრესის მოწოდებას. გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმი მოუწოდებს ყველა თავის წევრსა და მომხრეს და დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას:

ადენაუერის ანტიხალხური რეჟიმი უნდა წალეკოს ხალხის აღშფოთების ძლიერმა ტალღამ, რათა განთავისუფლდეს ჩვენი ერის მშვიდობიანი გაერთიანებისა და ბედნიერი მომავლის აშენების გზა. დაუყოვნებლივ იხმარეთ ყოველი ღონისძიება, რათა მხარი დაუჭიროთ ხალხის ნების ყოველგვარ გამოვლინებას!

განსაკუთრებით 1952 წლის 21 და 22 ივნისის დღეები — მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირზე ფაშისტთა თავდასხმის წლისთავი — ძლიერი დემონსტრაციების, მიტინგებისა და კრებების გზით გადააქციეთ საბრძოლო დღეებად, დიდი სახალხო ნების გამოვლინების კულმინაციურ პუნქტად, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ ხელს შეუშლის იმას, რომ უგუნურმა დამნაშავეებმა და ომის გამჩაღებლებმა ერთხელ კიდევ შეძლონ მოტყუებით ჩაითრიონ ჩვენი ხალხი „აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობაში“ და ამით ჩააგდონ იგი უფრო საშინელ და საბედისწერო უბედურებაში.

გამოიტანეთ გადაწყვეტილება: საზავო ხელშეკრულებისა და ხალხთა მეგობრობისათვის, „საერთო ხელშეკრულებისა“ და ძმათამკვლელი ომის წინააღმდეგ! საბჭოთა კავშირთან მეგობრობის გზით საზავო ხელშეკრულების, ერთიანობისა და თავისუფლებისაკენ!“.

## ბონის სეპარატული ხელშეკრულების წინააღმდეგ

**ბერლინი,** 10 ივნისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის და დასავლეთ ბერლინის პრესა, კომენტარს უკეთებს რა ბონის მთავრობის მიერ ხელმოწერილ სეპარატულ „ხელშეკრულებას“ დასავლეთის სახელმწიფოებთან, მკაცრად აკრიტიკებს მას. მთელი რიგი გაზეთების მიერ გამოთქმული მოსაზრებანი მოწმობენ, რომ დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის სხვადასხვა ფენა დიდად უკმაყოფილოა ამ სეპარატული სამხედრო ხელშეკრულებით და ბონის მთავრობის მთელი პოლიტიკით.

„...არავითარი ეჭვი არ არის,—წერს დასავლეთ ბერლინის გაზეთი „სოსი“,—რომ გერმანიის (ე. ი. ბონის პარლამენტის.—**რედ. შენიშვნა**) მიერ საერთო ხელშეკრულების რატიფიკაცია შეუძლებელს ხდის... გერმანიის ყოველგვარ მშვიდობიან გაერთიანებას და აღრმავებს, თუ სამუდამოდ არ ამკვიდრებს, გერმანიის გათიშვას.

პოლიტიკური და ეკონომიური შედეგებიდან, — განაგრძობს გაზეთი,—რომლებიც გარდუვალად მოჰყვება საერთო ხელშეკრულებას, გამომდინარეობს აგრეთვე გარკვეული სოციოლოგიური ცვლილებები... სავსებით აშკარაა, რომ ასეთ მოსაზღვრე ქვეყანაში, რომელიც სწორედ იმიტომ განიცდის ეკონომიურ სიძნელეებს, რომ იგი მოსაზღვრე ქვეყანაა, სულ უფრო პოპულარული გახდება არახელსაყრელი პირობების ძალით შეცვლის იდეა. ამიტომ ამ დარგში აუცილებლად უნდა გაძლიერდეს იმათი გავლენა, ვინც, იმოწმებს რა წარსულს, ასეთი ავანტიურების პოლიტიკის ზელადობას ჩემულობს. საერთო ხელშეკრულების ერთგული ნაციონალისტური წრეების პუბლიკაციებში უკვე დიდი ხანია გაისმის ლანძღვა-გინება წინააღმდეგობის ანტინაცისტი მებრძოლების მიმართ, როგორც კოლაბორაციონისტებისა და გამცემლების მიმართ, და მუქარა იმის შესახებ, რომ მათ „ერის ტრიბუნალის“ წინაშე დააყენებენ. უკვე ახლა ეწყობა პროცესები დემოკრატების წინააღმდეგ, რომლებმაც ომის დამთავრების შემდეგ ხელი შეუწყეს პოლიტიკურ დამნაშავეთა სამართლიანად დასჯას. მეორე მხრივ, აშკარად ქება-დიდებას ასხამენ „ათასწლოვან იმპერიას“ და ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, გასავალი აქვს ხანჯლის ჩაცემის ლეგენდას. იმ მიზნით, რომ მორალური დასაყრდენი შეუქმნან აღორძინების გზაზე დამდგარ „ვერმახტს“, შეიარაღების მაგნატებს განზრახული აქვთ უკანა რიცხვით სავსებით გაამართლონ ჰიტლერის ყაჩაღური აგრესიული ომი. თავისთავად გასაგები შედეგია იმათი სულ უფრო თავხედური და პროვოკაციული გამოსვლა, ვისაც ბრალი მიუძღვის ჩვენს უბედურებაში... საერთო ხელშეკრულება კიდევ ერთი ნაბიჯია მესამე მსოფლიო ომისაკენ, შემდგომი ნაბიჯია გერმანელი ხალხისათვის აუტანელი ტვირთის დაკისრებისაკენ, ეკონომიური გაჭირვებისა და ახალი დიქტატურისაკენ. გერმანელი ხალხის ბედი ჯერ კიდევ მის ხელთ არის. მას შეუძლია არ დაადასტუროს ეს ხელშეკრულება, რომელმაც უნდა განსაზღვროს მთელი მისი მომავალი. მას შეუძლია ერთხელ კიდევ სცადოს შეთანხმების მიღწევა, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფს გერმანელი ხალხის სურვილის განხორციელებას, არამედ მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობასაც მისცემს გერმანელ ხალხს“.

დასავლეთ გერმანიის გაზეთი „კასელერ ცაიტუნგი“, კომენტარს უკეთებს რა ბონის სეპარატული ხელშეკრულების ხელმოწერას, მოწინავე სტატიაში წერს: „შეშფოთების გრძნობით შეხვდა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა ახალი ხელშეკრულებების ხელმოწერას. ალმებზე, ზეიმზე და თავისუფლად ამოსუნთქვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია... ორივე ხელშეკრულება, რომლებსაც ვირთაგვის კუდებივით თან ახლავს დამატებითი შეთანხმებები და განცხადებები, თუ ეს ხელშეკრულებები კანონი გახდა,—ღრმად შეიჭრება თვითეული მოქალაქის ცხოვრებაში. ახალგაზრდობამ და ძველმა ფრონტელებმა კვლავ უნდა ჩაიცვან სამხედრო ფორმა. კვლავ ამუშავდება სამხედრო მრეწველობა. ეს არის ფაქტები, რომლებსაც, გვსურს თუ არა, უნდა შევურიგდეთ. ამით როდი შეგვიძლია მოვიპოვოთ თავისუფლება. ხელშეკრულების შენიშვნა საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ, რაც „განსაკუთრებულ შემთხვევებში“ ითვალისწინებს მოკავშირეების ჩარევას გერმანიის საქმეებში, დასავლეთის სახელმწიფოებს აძლევს ჩარევის შეუზღუდველ უფლებებს, რომლებითაც მათ შეუძლიათ საკუთარი შეხედულებისამებრ ისარგებლონ. უმაღლესი ძალაუფლება მომავალი გერმანელი ჯარისკაცების მიმართ არა გერმანელთა, არამედ უცხოელთა ხელში იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ფედერალურ რესპუბლიკას თავისი ჯარისკაცების მიმართ სუვერენული სახელმწიფოს ყველაზე ელემენტარული უფლებაც კი არ ექნება... ყოველივე ეს მწარე სინამდვილეა, რომელსაც ვერსად გავექცევით...

დასავლეთ გერმანიის ყოველკვირეული გაზეთის „დოიჩე ვოხეს“ (მიუნხენი) კომენტატორმა ასე დაახასიათა ბონის ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგები: „არავითარი ეჭვი არ არის, რომ ისტორია გვერდს აუვლის დასავლეთ გერმანიის ფედერალური კანცლერის მოქმედებასა და დაპირებებს. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მან ნახა ასეთ ხელშეკრულებათა ხანმოკლეობის საკმაოდ ბევრი მაგალითი. ერთი აშკარაა, რომ იგი ცდილობს გერმანიის საშინაო პოლიტიკა შეუთარდოს ამერიკის პოლიტიკის მიზნებს. ეს ნიშნავს დასავლეთ გერმანიის გაურკვეველი ვადით დამორჩილებას ამერიკის ჰეგემონიისადმი. საშინაო პოლიტიკის მხრივ ეს აგრეთვე ნიშნავს, თუ საკითხს საერთო ხელშეკრულების შენიშვნების თვალსაზრისით განვიხილავთ, გამწვავებული ბრძოლის დაწყებას ოპოზიციის წინააღმდეგ... თუ ასეთ მდგომარეობაში დავსვამთ საკითხს, რა მოჰყვება ამას და რა მოხდება საერთო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, პასუხი თავისთავად იგულისხმება... თუ ადენაუერს სურს სახალხო ფრონტი, იგი მას მიიღებს. ბოლოს და ბოლოს ადენაუერი პირველი როდი იქნება იმათგან, ვინც ამ ფრონტს დაუმარცხებია“.

დასავლეთ გერმანიის გაზეთი „ფორტშრიტი“ (დიუსელდორფი) „საერთო ხელშეკრულების“ კაბალური არსის შესახებ წერდა: „ოცდაათწლიანი ომის შემდეგ გერმანიის ტერიტორიაზე არ ყოფილა უცხოელთა ასეთი თვითნებობა“; თუ დათანხმდა ამ „ხელშეკრულების“ ხელმოწერას, დასავლეთი გერმანია გახდება სატელიტი „სახელმწიფოებისა, რომლებსაც დაემორჩილა ბონის მთავრობა, თუმცა ამას არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა“...

...ფედერალურ პარლამენტში კენჭისყრა რატიფიკაციის საკითხზე, უეჭველია, სახელობითი უნდა იყოს. საჭიროა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ყველა იმათი სახელი, ვინც ხმას აძლევს ამ ხელშეკრულებას და ამით ხელს აწერს მას, გავაცნოთ მოსახლეობას არჩევნების წინ. თუ უბედურების თავიდან აცილება შეუძლებელი გახდა, დაე ჩვენმა შვილებმა იცოდნენ, ვის უნდა უმადლოდნენ ამ უბედურებას. ჩვენ არა გვსურს, რომ ოდესმე გვისაყვედურონ დუმილი, როგორც ეს იყო 1933 წელს, როცა გამოიცა კანონი მთავრობისათვის საგანგებო რწმუნებათა მინიჭების შესახებ. მაგრამ ჩვენ გვსურს უკვე დღეს მტკიცედ ვთქვათ, რომ ხელშეკრულების ლიკვიდაციისათვის ვიბრძოლებთ მაშინაც, როცა იგი ძალაში შევა, სანამ არ იქნება აღდგენილი გერმანიის ნამდვილი სუვერენიტეტი და მოქმედების თავისუფლება“.

დორტმუნდის გაზეთი „ვესტდოიჩე ტაგბლატი“ წერდა:

„იმის ნაცვლად, რომ ლაჩრულად გვეძებნა მოჩვენებითი სუვერენიტეტი, უნდა გაგვეძლიერებინა ჩვენი კანონიერი მოთხოვნა საზავო ხელშეკრულებისა, რომელიც... უნდა დაიდოს მთელ გერმანიასთან. იგი გულისხმობს, ამრიგად, სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნას, რომელიც თავისუფალი არჩევნების შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს. ჩვენი ამოცანა და სამშობლოს წინაშე ჩვენი ვალია, ყოველ საათში და ყოველ დღე ვიმეოროთ, რომ ეს მოლაპარაკება (ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკება. — **რედ. შენიშვნა**), რაზედაც არ შეუძლიათ უარი გვითხრან და არც უნდა გვითხრან, რაც შეიძლება მალე გაიმართოს...“

## პროტესტები იმპერიალისტების პოლიტიკის წინააღმდეგ

**ლონდონი,** 10 ივნისი. (საკდესი). გაზეთ „დეილი უორკერის“ ცნობით, გუშინ ლონდონში გაიმართა ინგლისური კომპანია „დანლოპ რაბერ კომპანის“ აქციონერთა ყოველწლიური კრება კლაივ ბაიეს თავმჯდომარეობით.

გაზეთის სიტყვით, ბაიემ აღტაცება გამოთქვა რეპრესიების პოლიტიკის გამო, რასაც კოლონიების მინისტრი ლიტლტონი ახორციელებს მალაიაში. ბაიემ აღნიშნა, რომ კომპანიას მოეპოვება 60-ზე მეტი ჯავშნიანი ავტომობილი და ტრანსპორტერი, აგრეთვე ჰყავს შეიარაღებულ პოლიციელთა საკუთარი რაზმები. კომპანია, თქვა ბაიემ, 230 ათას გირვანქა სტერლინგს ხარჯავს მალაიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგ მიმართულ „უშიშროების ღონისძიებებზე“.

კრება შეწყვეტილ იქნა ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფის მოსვლის გამო. მათი მოსვლა მოულოდნელი იყო და, გაზეთის სიტყვით,... „მოსულებმა მოფანტეს ფურცლები, გაშალეს პლაკატები და აქციონერებს გააცნეს საქმის ნამდვილი ვითარება ინგლისში...“ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა პლაკატები მოითხოვდნენ: „შეწყვიტეთ ომი მალაიაში!“, „შინ დააბრუნეთ ინგლისელი ახალგაზრდები!“.

სამხედრო მოსამსახურეები გაიძახოდნენ: „მილიონობით მოგება ინგლისელ ახალგაზრდათა სიცოცხლის ხარჯზე! რატომ თვითონ არ მიდიხართ საომრად? თქვენ ჯიბეს ისქელებთ ადამიანთა სიცოცხლის ფასად“.

დატოვეს რა აქციონერთა კრება, ყოფილმა სამხედრო მოსამსახურეებმა პლაკატებით ჩაუარეს სასტუმროს შენობას.

საერთაშორისო თემაზე

# „მშვენიერი საფრანგეთი თავისუფალი იქნება“

ბაქტერიოლოგიურმა გენერალმა რიჯუეიმ ადგილსამყოფელი გამოიცვალა. თაგვების, ბუზების, ხოჭოებისა და მოსკიტების გენერალი, მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის სისხლით ხელებგასვრილი, სინდისგარეცხილი და სახელგატეხილი, პარიზს „ესტუმრა“. ყვავი თვითონ ყარდა და ბუდეს იცვლიდაო... სწორედ მასზეა ნათქვამი. „რიჯუეი—ხოლერა, რიჯუეი—ომი, წაეთრიე ამერიკაში!“—ასეთი ძახილით შეხვდა მას ფრანგი ხალხი, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას მშვიდობა, თავის ხელში აიღოს საფრანგეთის ბედი.

პარიზში რიჯუეის ჩასვლა იმის სიგნალი გახდა, რომ საფრანგეთის ამერიკულ მთავრობას ქვეყნის პროგრესული ძალების წინააღმდეგ მორიგი პროვოკაცია დაეწყო: 25 მაისს საფრანგეთის ხელისუფლებმა, რომლებიც უსირცხვილოდ იყენებენ ჰიტლერელების ნაცად მეთოდებს, ფაქტიურად ყოველგვარი ბრალდების წაუყენებლად დააპატიმრეს „ლუმანიტეს“ მთავარი რედაქტორი, ნიჭიერი ჟურნალისტი, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ანდრე სტილი. 28 მაისს ფაშისტი პოლიციელები თავს დაესხნენ ფრანგი ხალხის ბელადს ჟაკ დიუკლოს და დააპატიმრეს იგი. 31 მაისს პოლიციელებმა დაარბიეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა... რეაქციის განზრახვა აშკარაა. წინასწარ შეთითხნილი საშინელი პროვოკაციით საფრანგეთის მთავრობა მიზნად ისახავს ბრალი დასდოს კომპარტიას „სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების მომზადებაში“ და სასტიკი რეპრესიული ზომები მიიღოს მის წინააღმდეგ. ამიტომ ლაყბობენ საფრანგეთის მთავრობის წრეებში „კომუნისტების შეთქმულებაზე სახელმწიფოს საშინაო უშიშროების წინააღმდეგ“, ამიტომ განაცხადა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, პროვოკატორმა ბრიუნმა, „ჟაკ დიუკლო დააპატიმრეს, რადგან დანაშაულის ადგილას დააკავესო“, ამიტომ „იპოვნეს“ ფრანგმა პოლიციელებმა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში „საინტერესო დოკუმენტები“... უდავოა, პინეის მთავრობა ამერიკელი იმპერიალისტების მორიგ ბრძანებას ასრულებს. ეს ბრძანება, ეჭვს გარეშეა, პარიზის პოლიციის უფროსმა ბეილომ მიიღო ვაშინგტონში, სადაც იგი „ამერიკის პოლიციის მეთოდებს“ ეცნობოდა. ფრანგი კომუნისტების წინააღმდეგ დაწყებულია საშინელი პროვოკაცია. თავისი ბნელი მიზნების განსახორციელებლად ვიშისტ პინეის რეაქციულ-ამერიკული მთავრობა მიმართავს ომის გამჩაღებელთა მიერ არაერთხელ ნაცად პროვოკაციულ მეთოდებს, რომლებიც მოგვაგონებენ ჟორესის მოკვლას, რაიხსტაგის დაწვას, 1939 წლის ანტიკომუნისტურ რეპრესიებს...

წინასწარი განზრახვით, უდანაშაულოდ დაპატიმრებული ჟაკ დიუკლო გამოდის, როგორც ბრალმდებელი პინეის რეაქციული მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც საბოლოოდ მიეყიდა ამერიკელ იმპერიალისტებს. ჟაკ დიუკლო გამოდის, როგორც ბრალმდებელი ომის ამერიკელი გამჩაღებლებისა, რომლებმაც პოლიტიკურად, ეკონომიურად და სამხედრო თვალსაზრისით დაიმონეს ევროპის მარშალიზებული ქვეყნები. ჟაკ დიუკლო ჯერ კიდევ 1951 წელს აცხადებდა: „ფრანგები ვერ შეურიგდებიან თავხედურ დიქტატურას, რომელიც ამერიკელებს სურთ თავზე მოახვიონ ჩვენს ქვეყანას, დიქტატურას გაუნათლებელი და საძაგელი მაგნატებისას, რომლებიც იმდენად გამსჭვალულნი დოლარისადმი მორჩილების გრძნობით, რომ ფიქრობენ, დოლარით ყველაფრის ყიდვა შეიძლებაო“... ჟაკ დიუკლო გამოდის, როგორც ბრალმდებელი საფრანგეთის ეგრეთწოდებული ბურჟუაზიული დემოკრატიისა. საპატიმროს კარის წინ მან გადახედა ბურჟუაზიული გაზეთების ჟურნალისტებს, რომლებიც მის ირგვლივ ტრიალებდნენ, და დაცინვით უთხრა მათ: „აი, ბატონებო, თქვენი დემოკრატია, დატკბით“! კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ამ პროვოკაციის წამოწყების შემდეგ საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი საფრანგეთის ბურჟუაზიულმა „დემოკრატიამ“, კაცისმკვლელების, ძალადობის, ომის მზადების, განგსტერების „დემოკრატიამ“.

პინეი, დე გოლი, ჟიულ მოკი, ბრიუნი—საფრანგეთის ეს გაქნილი პროვოკატორები იმუქრებიან; შინაგან საქმეთა მინისტრი ბრიუნი იმდენად გათავხედდა, რომ იუნაიტედ პრესის პარიზელ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „თუ საჭიროება მოითხოვს“, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სხვა ლიდერებსაც დავაპატიმრებთო...

ჟაკ დიუკლოს დაპატიმრებამ სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებში, რომლებიც მტკიცე პროტესტის ხმას იმაღლებენ საფრანგეთის მთავრობის ამ პროვოკაციის წინააღმდეგ. ფრანგი მშრომელები გაბედულად იბრძვიან თავიანთი ძვირფასი ჟაკის (ასე უწოდებენ დიუკლოს სიყვარულით მშრომელები!), ანდრე სტილისა და მშვიდობისათვის ყველა სხვა ფრანგი მებრძოლის გასათავისუფლებლად. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ გამარჯვებას. ვერავითარი მუქარა და რეპრესია ვერ გატეხს მათს გადაწყვეტილებას... საფრანგეთის კომუნისტური პარტია ფრანგი ხალხის პარტიაა, იგი საფრანგეთში ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ძალაა. მისი ძლიერება ფრანგი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისადმი ერთგულებაში და ფრანგი მშრომელების მისდამი მხარდაჭერაში მდგომარეობს. რეაქციონერებს შეუძლიათ დააპატიმრონ და ბორკილი დაადონ ერთეულებს, ათეულებს, მაგრამ მათ არ ძალუძთ ბორკილი დაადონ ფრანგ ხალხს. პინეის, ბრიუნის და მათი მსგავსი პროვოკატორების მუქარა საცოდავად გაისმის ფრანგი ხალხის მრისხანე ძახილის წინაშე: „ჩვენ მშვიდობა გვინდა“, „გაათავისუფლეთ ჟაკ დიუკლო“, „გაათავისუფლეთ ანდრე სტილი“, „პინეი, წაეთრიე“, „ფაშიზმი ვერ გაიმარჯვებს“, „რიჯუეი-ომი ამერიკაში წაეთრიოს!“

ფრანგი ხალხის ბრძოლა ანტიკომუნისტური რეპრესიების წინააღმდეგ ნაწილია მისი ბრძოლისა მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის. ფრანგ პატრიოტებს ღრმად ესმით, რომ საფრანგეთის მომავალი ამ ბრძოლაზეა დამოკიდებული. ისინი გამარჯვების რწმენით იმეორებენ ფრანგი ეროვნული გმირის, კომუნისტ დანიელ კაზანოვას სიტყვებს: „ჩვენი მშვენიერი საფრანგეთი თავისუფალი იქნება და ჩვენი იდეალები გაიმარჯვებს!“.

გ. მელაძე.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 10 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 10 ივნისს გამოაცხადა:

გუშინ ყველა ფრონტზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელი სახალხო მოხალისენი განაგრძობდნენ თავდაცვით ბრძოლებს წინანდელ ზღუდეებზე.

სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ხამხინის, ნამფხოსა და სხვა ქალაქების დაბომბვაში.

# ამერიკელ ინტერვენტთა ახალი საზარელი დანაშაული

## სამხედრო ტყვეთა სისხლისღვრა კუნძულ კოჯედოზე

ლონდონი, 10 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის მიერ კუნძულ კოჯედოდან გადმოცემული ცნობიდან ჩანს, ამერიკელმა ინტერვენტებმა ახალი მხეცობა ჩაიდინეს კუნძულ კოჯედოზე სამხედრო ტყვეების მიმართ. ამერიკის ჯარები ჯალათ გენერლის ბოუტნერის წინამძღოლობით ტანკებით შეიჭრნენ № 76 სექტორში. „ცეცხლსატყორცნმა ტანკებმა,—წერს კორესპონდენტი, — გაარღვიეს მავთულხლართი; ჯარისკაცებმა დაიწყეს გამაყრუებელი მოქმედების გრანატებისა და ცრემლსადენი გაზებით გატენილი გრანატების სროლა და ცდილობდნენ ტყვეები გამოერეკათ სადგომებიდან“. ჯარისკაცები ხიშტმომარჯვებულნი უტევდნენ.

სამხედრო ტყვეთა ეს ახალი სისხლისღვრა რომ წინდაწინ გულდასმით იყო მომზადებული, ამას მოწმობს კაციჭამია ბოუტნერის განცხადება: „თუ სისხლისღვრა უნდა იქნეს, იგი მოხდება“.

ამერიკელი მკვლელები დაჭრილ სამხედრო ტყვეებს მიერეკებოდნენ „მტვრიან გზაზე, რომელზეც სისხლიანი კვალი დარჩა“.

„ცრემლსადენი გაზით სულშეხუთული ტყვეები,—წერს კორესპონდენტი, — 150 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად შერეკეს ახალ სექტორებში, ტანთ გახადეს და ახალი ტანისამოსი დაურიგეს.

6 ათასი ჯარისკაცი იცავდა ყველა გზას კუნძულზე და განლაგებული იყო სექტორში, სადაც ბრძოლა მოხდა, და მის გარშემო“.

300 სამხედრო ტყვეთა შორის, რომელთაც არ სურდათ დაეტოვებინათ ბანაკის სადგომები და რომელთა წინააღმდეგაც ტანკები აამოქმედეს, იყო 9 წლის ბიჭი.

არასრული ცნობებით, მოკლულ იქნა 32 და დაიჭრა 197 ტყვე.

კორესპონდენტის სიტყვით, სამხედრო ტყვეთა მიმართ ახალი მხეცობა „მოგვაგონებდა ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ ბრძოლას ფრონტზე“.

# ბრძოლა საფრანგეთში ჟაკ დიუკლოსა და ანდრე სტილის განთავისუფლებისათვის

პარიზი, 10 ივნისი. (საკდესი). ფრანგი ხალხი აძლიერებს საპროტესტო მოძრაობას ჟაკ დიუკლოსა და ანდრე სტილის უკანონოდ დაპატიმრების წინააღმდეგ, დემოკრატიული ორგანიზაციების დევნის წინააღმდეგ.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, გუშინ ბრესტში გაფიცული იყვნენ მშენებელი მუშები, მელითონეები, კომუნალური მეურნეობის მუშაკები და არსენალთა მუშები. ისინი შეიკრიბნენ მიტინგზე პროფკავშირთა ადგილობრივი გაერთიანების ეზოში, ხოლო შემდეგ გაემართნენ სუპრეფექტურის შენობისაკენ, სადაც მშრომელთა დელეგაციამ ადგილობრივ ხელისუფლებს გადასცა პროტესტი შრომის საყოველთაო კონფედერაციის პროფკავშირთა შენობებში მოწყობილი ჩხრეკის წინააღმდეგ და მოითხოვა ჟაკ დიუკლოსა და ანდრე სტილის დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

გუშინ გაფიცვა გამოაცხადეს აგრეთვე ქალაქ ანგულის (შარანტის დეპარტამენტი) და ქალაქ პუატიეს (ვიენის დეპარტამენტი) ფოსტისა და ტელეგრაფის მოსამსახურეებმა. გაფიცვას განაგრძობენ ქალაქ არჟანტეის (სენის დეპარტამენტი) ბევრი სამრეწველო საწარმოსა და მშენებლობის მუშები.

ლიონში გრძელდება მშენებელ მუშათა გაფიცვა. მეტწილ მშენებლობებზე გაფიცულია მშრომელთა ასი პროცენტი.

დამახასიათებელია, რომ ამ უკანასკნელ დღეებში მშრომელნი, რომელნიც სხვადასხვა პროფკავშირებს ეკუთვნიან, სულ უფრო ხშირად უცხადებენ სოლიდარობას საფრანგეთის კომუნისტურ პარტიასა და შრომის საყოველთაო კონფედერაციას. მაგალითად, ლიონში ეგრეთწოდებული ავტონომიური „დამოუკიდებელი“ პროფკავშირის მოწოდებით გაიმართა რონის დეპარტამენტის მასწავლებელთა კრება. ამ კრების 1.200 მონაწილემ დაგმო ჟაკ დიუკლოსა და ანდრე სტილის უკანონო დაპატიმრება და პროტესტი განაცხადა დემოკრატების დევნის წინააღმდეგ.

საფრანგეთის უნიტარული სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელმა კომიტეტმა, იუწყება გაზეთი „ლუმანიტე“, წამოაყენა მოთხოვნა დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნან ჟაკ დიუკლო და ანდრე სტილი და მოუწოდა ამ პარტიის ყველა წევრს იბრძოლონ ფაშისტური მეთოდების წინააღმდეგ, რომლებსაც ახლა საფრანგეთში იყენებენ ისევე, როგორც გერმანიაში იყენებდნენ 1933 წელს.

დღეს „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა ქალაქ ჟენვილიეს (სენის დეპარტამენტი) მუნიციპალიტეტის მრჩევლის სოციალისტ ჟიიარის განცხადება, რომლითაც იგი პროტესტს აცხადებს ჟაკ დიუკლოს დაპატიმრების წინააღმდეგ.

მოძრაობა ჟაკ დიუკლოს განთავისუფლებისათვის დღითიდღე სულ უფრო ფართოდ ჩაღდება აგრეთვე საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის კოლონიებში. „ლუმანიტეში“ დღეს გამოქვეყნებულია ნაწყვეტები ტუნისის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილისა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. ტუნისელი კომუნისტები, ნათქვამია წერილში, მტკიცე პროტესტს აცხადებენ ჟაკ დიუკლოსა და ანდრე სტილის დაპატიმრების წინააღმდეგ და მოუწოდებენ გაძლიერდეს „ერთობლივი ბრძოლა საერთო მტრის — საფრანგეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, რომელსაც მხარს უჭერს ამერიკის იმპერიალიზმი“.

ანალოგიური წერილები გაუგზავნეს საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ალჟირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მაროკოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ალჟირის „დემოკრატიულ თავისუფლებათა გამარჯვების“ პარტიის ქალაქ ბატნის (ალჟირი) სექციამ.

გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ ჟაკ დიუკლომ მისასალმებელი წერილი მიიღო კუნძულ მადაგასკარის სოლიდარობის მოძრაობის კომიტეტის ხელმძღვანელი ბიუროსაგან.

დიუკლოს დაპატიმრების წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგები და მანიფესტაციები გაიმართა ორანში და ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ქალაქებში, აგრეთვე კუნძულ რეიუნიონზე.

გაზეთი „ლუმანიტე“ წერს, რომ ჟაკ დიუკლოს ადვოკატებმა სასამართლოს ხელისუფლებს, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას პარიზში გენერალ რიჯუეის ჩამოსვლის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულ მშრომელთა „საქმეზე“, მოსთხოვეს ამ კვირის განმავლობაში დაამთავრონ გამოძიება; გაათავისუფლონ დაპატიმრებულნი ან დაუყოვნებლივ შეუქმნან მათ პირობები, რომლებითაც პოლიტიკური პატიმრები სარგებლობენ.

# პოლიციის თვითნებობის წინააღმდეგ!

## ანდრე სტილის წერილი სასამართლო გამომძიებელ ჟაკინოსადმი

პარიზი, 10 ივნისი. (საკდესი). „ლუმანიტეში“ გამოქვეყნებულია ანდრე სტილის წერილი სასამართლო გამომძიებელ ჟაკინოსადმი. ამ წერილში ნათქვამია:

„ბ-ნო გამომძიებელო, მე უკანონოდ დამაპატიმრეს 25 მაისს 5,30 საათზე და ამრიგად 16 დღეა საპყრობილეში ვიმყოფები. თუმცა დაპატიმრების შემდეგ თანმიმდევრულად წამომიყენეს სამი ბრალდება — „კრებებისადმი წაქეზებიდან“ „სახელმწიფოს შინაგანი უშიშროების ხელყოფამდე“, — მაგრამ დღემდე არ მოუციათ შესაძლებლობა მოესმინათ ჩემთვის, რათა შემხილებინა პოლიციის საზიზღარი პოლიტიკა და მდაბალი ხრიკები, რომელთა ობიექტიც გავხდი.

ამრიგად, გაბატონებულია სრული თვითნებობა. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის ყოველი მოქალაქე შეიძლება დაპატიმრებულ იქნას სრულიად უსაფუძვლოდ, რაგინდ კანონიერი „გარანტირებითაც“ სარგებლობდეს იგი (მაგალითად კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ). ამ დაპატიმრების ინიციატორებს სრული შესაძლებლობა აქვთ მთელი დღეებისა და კვირეების განმავლობაში ამბობდნენ უარს ახსნა-განმარტებაზე ამის შესახებ. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ შეუძლია ხალხის მიერ დაგმობილ მთავრობას გამოიყენოს ისეთი „პრევენტიული დაპატიმრება“, რომელიც მოგვაგონებს „ლეტრ დე კაშეს“ (სტილს მხედველობაში აქვს მეფის ბრძანებულებანი დაპატიმრებისა თუ გაუსამართლებლად და გამოუძიებლად საპყრობილეში ჩასმის შესახებ.—რედ.) ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ოდნავ არ ეთანხმება და ამით აბრკოლებს მთავრობის პოლიტიკას — სიღატაკის, ფაშიზაციისა და ომის პოლიტიკას. ასეთი ფაქტები გვაფიქრებენ იმ მომენტში, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტი ხმამაღლა ლაპარაკობს „პოლიტიკურ დემოკრატიაზე“.

მიზეზი, თუ რატომ ამბობენ უარს 16 დღის განმავლობაში მომისმინონ, ცხადია: დოსიეს აბსოლუტური სიცარიელე. ცნობილია, რომ ამ პირობებში, როგორც ჟაკ დიუკლოს 7 ივნისის განცხადებამ გვიჩვენა, არავითარი „დაკითხვა“ არ შეიძლება, და ბრალდებული გარდუვალად იქცევა ბრალმდებლად. თვითნებობის მეთოდების მამხილებელი ამ წერილის მიზანია მოვითხოვო, რომ მომცენ სიტყვა რაც შეიძლება მალე“.

# დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებმა უკანონოდ დააპატიმრეს გაზეთ „ნოიე ფოლკსცაიტუნგის“ რედაქტორი

ბერლინი, 10 ივნისი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ ესენიდან გადმოგვცა, რომ 8 ივნისს პოლიციამ დააპატიმრა გერმანიის კომუნისტური პარტიის ორგანოს გაზეთ „ნოიე ფოლკსცაიტუნგის“ პასუხისმგებელი რედაქტორი ჰერბერტ იაკობი. იგი ჩასვეს იმ საპყრობილეში, სადაც უკვე მოთავსებულია 14 ახალგაზრდა ესენელი მებრძოლი მშვიდობისათვის.

ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალის მხარის ლანდტაგში გერმანიის კომუნისტური პარტიის ფრაქციის თავმჯდომარის კარლ შაბროდის ენერგიული პროტესტის პასუხად მას სათანადო ორგანოებში განუცხადეს, რომ იაკობი დააპატიმრეს იმიტომ, რომ იგი თითქოს „დიდხანს ილაშქრებდა ფედერალური მთავრობის წინააღმდეგ“.



კინომსახიობის მოსკოვის თეატრის სპექტაკლი „იქ, სადაც შუქმენილბვა არ ყოფილა“. სცენა IV მოქმედებიდან. მარცხნიდან მარჯვნივ წინა პლანზე: რსფსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ნ. კრიუჩკოვი (თომა მაზაევი), მსახიობები ვ. ტიხონოვი (პავლე ხლოპოტოვი) და ე. სავინოვა (ნატალია მურიანოვნა).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# კინომსახიობის მოსკოვის თეატრის გასტროლები თბილისში

29 მაისს დაიწყო და წარმატებით გრძელდება კინომსახიობის მოსკოვის თეატრის გასტროლები.

თეატრმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა ოთხი საუკეთესო დადგმა: ი. ეგოროვისა და გ. პობედონოსცევის პიესა „სამი ჯარისკაცი“, ა. ოსტროვსკის კომედია „სიღარიბე დასაძრახი როდია“, ს. ნაიდენოვის დრამა „ვანიუშინის შვილები“ და ვ. სემიონოვის პიესა „იქ, სადაც შუქმენილბვა არ ყოფილა“. ამ სპექტაკლებში მონაწილეობენ საბჭოთა მაყურებლისათვის კარგად ცნობილი კინომსახიობები — კინოფილმის „დაუვიწყარი 1919 წელი“ მონაწილე რსფსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ბ. ანდრეევი, რსფსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ნ. კრიუჩკოვი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ა. კმიტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ლ. შაგალოვა, რსფსრ დამსახურებული არტისტი ა. ანტონოვი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ბალაშოვი და სხვები.

წარმატება ხვდა თეატრის მიერ გამართულ კინომსახიობთა საღამო-კონცერტებს. თეატრის საკონცერტო ბრიგადამ გამართა საღამო-კონცერტი დიდი სტალინის სამშობლო ქალაქ გორში. იქ მსახიობებმა დაათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა პროგრესული კაცობრიობის გენიალურმა ბელადმა დიდმა სტალინმა. კინომსახიობთა საკონცერტო ბრიგადამ კონცერტები გამართა აგრეთვე თბილისის საწარმოთა მუშებისათვის და მეტალურგთა ქალაქის რუსთავის მშრომელებისათვის.

9 ივნისს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მოეწყო კინომსახიობის მოსკოვის თეატრის კოლექტივისა და ქართველ მსახიობთა შემოქმედებითი შეხვედრა. კონცერტში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ანჯაფარიძე, რსფსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ბ. ანდრეევი, რსფსრ დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ნ. ალისოვა, რსფსრ დამსახურებული არტისტები ა. ფაიტი, ც. მარტინსონი და ვ. კულაკოვი, სტალინური პრემიის ლაურეატი ლ. სმირნოვა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. კობახიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები თ. ჭავჭავაძე, ც. თაყაიშვილი, ა. ქორქოლიანი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. კვანტალიანი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. გომელაური, მსახიობები კ. სოროკინი, გ. რომანოვი და ქ. ჯაფარიძე.

კინომსახიობის მოსკოვის თეატრი-სტუდია თბილისში კიდევ რამდენიმე დღეს დარჩება, რის შემდეგ გაემგზავრება საქართველოს სხვა ქალაქებსა და კურორტებზე კონცერტებისა და სპექტაკლების გასამართავად. თეატრს განზრახული აქვს კონცერტები ჩაატაროს ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, წყალტუბოსა და გაგრაში.

კინომსახიობთა სპექტაკლებს თბილისელი მაყურებელი გულთბილად შეხვდა. დღემდე თეატრის სპექტაკლებსა და კონცერტებს 18.000-მდე მაყურებელი დაესწრო.

გ. ტატიშვილი.

# რამდენიმე სტრიქონით

⊙ საბურთალოზე, ლისისა და კომინტერნის ქუჩების მიდამოში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოჰყო მიწის ნაკვეთი ცენტრალური სახელმწიფო არქივის შენობის ასაგებად.

⊙ წელს თბილისის მუსიკალური სკოლების შენობათა რემონტისათვის თბილისის საბჭოს აღმასკომმა გადადო 100.000 მანეთი.

⊙ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე თბილისის ტრამვაიმ და ტროლეიბუსმა მომსახურება გაუწია 80 მილიონამდე მგზავრს.

⊙ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო ქალაქში სამუშაოდ ყოველდღიურად უშვებს ტრამვაის 237 და ტროლეიბუსის 38 ვაგონს. ტრამვაისა და ტროლეიბუსს საშუალოდ დღეღამეში გადაჰყავს ნახევარ მილიონზე მეტი მგზავრი.

# კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

12 ივნისს, საღამოს 8 საათზე, შედგება ამხ. ვ. ხემენკოვის ლექცია თემაზე: „ი. ბ. სტალინის წიგნი — „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“.

# ლექცია

12 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შედგება ამხ. სულეიმანის ლექცია თემაზე: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — წარმატებით დავამთავროთ სამეურნეო წლის პირველი ნახევარი.

მეშახტის დღის შესახვედრად — ვ. ჩახნაძე — რაციონალიზატორი მეშახტეები.

სრული მზადყოფნით შევხვდეთ მოსავლის აღებას — მ. ალაზნელი — კოლმეურნეთა ვალდებულებანი. მ. მაზანაშვილი — მარცვლეულის მიღებისათვის მზადება ჰიანურდება.

საბჭოთა კავშირში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — „პრავდის“ 11-VI მოწინავე — საბჭოთა წყობილების მძლავრი ძალა.

პარტიული ცხოვრება — ა. კუმარიტოვი — გაზეთი და მკითხველთა წერილები.

ბ. ბორისოვი — ნ. ოგარევი (გარდაცვალებიდან 75 წლისთავის გამო).

მესამე გვერდი — ა. ბალათურია — სწრაფად დავამთავროთ რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლა.

ცხოვრების სიმართლის კვალდაკვალ (საუბარი სსრ კავშირის სახალხო არტისტ მ. ჭიაურელთან).

წერილები რედაქციას.

მოკლედ მნიშვნელოვან საკითხზე — წერილები დიად მშენებლობებიდან. საწარმოები და ტრანსპორტი. ლურსმანი ფეხსაცმელში.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.



ფრანგი მამლაყინწა და მისი აჩრდილი.

ნახატი მ. ოთაროვისა.

# საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

13 ივნისს

06.25—ქართული ხალხური სიმღერები; 07.30—კონცერტი შოსტაკოვიჩის და პროკოფიევის ნაწარმოებებიდან; 09.20 — სცენა მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვიდან“; 10.30—ქართველი პოეტების ლექსები სამგორზე; 11.10—სიმღერები და ვალსები კინოფილმებიდან; 17.15—კონცერტი; 17.40—გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — კონცერტი-ლექცია ციკლიდან „ქართული კამერული ინსტრუმენტული მუსიკა“; 19.15—კონცერტი მენდელსონის და ბრამსის ნაწარმოებებიდან; 19.45—საუბარი.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

20.30—ვერდის ოპერა „ტრავიატას“ ტრანსლაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან; 00.05 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

# დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ლატავრა; რუსთაველის სახელობის — ხევისბერი გოჩა; მარჯანიშვილის სახელობის — ვარდი ასფურცლოვანი; გრიბოედოვის სახელობის — ღრმა დაზვერვა (56-ე, 57-ე აბ.); სომხური დრამის — საიათნოვა; მოზარდ მაყურებელთა ქართული — ძველი ჭრილობა (35-ე აბ. 3 ს., 41-ე აბ. 7 ს.); მოზარდ მაყურებელთა რუსული — შინ დაბრუნება მინდა (46-ე აბ. 10 ს.), ყაჩაღები (33-ე აბ. 6 ს); მუსიკალური კომედიის — ცანის დედოფალი; სანკულტურის—მშვიდობის სიმფონია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ქართული საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების გამგის ვაკანტურ თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები, სათანადოდ შემოწმებული: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დიპლომის ასლი, ცნობა სამეცნიერო ხარისხის და სამეცნიერო წოდების მინიჭების შესახებ, სამეცნიერო ნაშრომების სია და თვით ნაშრომები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების რეცენზია, ორი შემოწმებული ფოტოსურათი.

კონკურსის ვადაა 15 დღე დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა. განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე (ძერჟინსკის ქ. № 8).

ცეკავშირის თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას საბუღალტრო და საქონელმცოდნეობის განყოფილებათა პირველ კურსზე 1952-53 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმი ამზადებს ბუღალტრებს და საქონელმცოდნეებს სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონული კავშირებისათვის. სწავლის ხანგრძლივობა ორივე განყოფილებაზე სამი წელია.

ტექნიკუმში მიიღებიან 14-30 წლის ასაკის არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

განცხადებები მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, 3 ცალი ფოტოსურათი (შემოწმებული), ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუციაში, მათემატიკაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), ქართულ ენაში (წერა და ზეპირი). უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ფრიადოსნები, რომლებსაც არასრული საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ 1951-52 წლებში.

ტექნიკუმში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი ბინით, სტიპენდიით არსებული წესის მიხედვით. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, კალინინის ქ. № 88, ტელეფონი № 3—07—84.

მეუღლე ფედოსია, შვილები ლადო, ჟუჟუნა, ნუნუ, რძალი ნადია, სიძეები ი. ქავთარაძე, ე. კლაუ, შვილიშვილები ციალა, ჯუმბერ, დოდო, როლანდ, ბადრი იუწყებიან დომენტი ფირანის-ძე მაჩაიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-VI, 8 ს. გამოსვენება 15-VI, 5 ს. ხუციშვილის ქ. № 6.

თბილისის სამალარიო სადგურის თანამშრომლები იუწყებიან ოლღა არჯევანის ასულ მეგრელიშვილი-სიხარულიძის გარდაცვალებას.

შვილები ვანო და ეთერ მოწონელიძეები, სიძე ვლასი ჩემია, შვილიშვილი რუსუდან იუწყებიან პელაგია იოსების ასულ მოწონელიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-VI, 8 ს. გამოსვენება 15-VI, 3 ს. პაპანინის ქ. № 7.

შვილები შალვა, სოფიო, თედო, კონსტანტინე კონწურაშვილები, რძლები ზინა მინდელი, ნინო ჩერქეზიშვილი, სიძე დავით იოსელიანი შვილებით იუწყებიან ანასტასია ქოლოშვილი-კონწურაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-VI, 8 ს. გამოსვენება 14-VI, საყარაულოს ქ. № 9.

ძმები ამბრკი, დანიელ, რძლები ელენე, ვენერა, ძმისწულები მამია, ზურაბ, გივი, ჯანი, რეზო, მურმან, დები ივდითი, სონია, თამარ, ქეთო, სიძე ვ. სიხარულიძე ოჯახებით იუწყებიან ოლღა მეგრელიშვილი-სიხარულიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-VI ჩოხატაურში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03618